

## სარჩევი

სისტემური წითელი მგლურა	3
პემოლიზურ-ურემიული სინდრომი და ორომბოტულ-ორომბოციტოპენიული პურპურა	21
შემთხვევის განხილვა	38
ნეფროლოგიურ სიახლეთა მოკლე ანონსი	41
შემთხვევის განხილვა - პაციენტი	44

## სარედაქციო ჯგუფი

**ირმა ჭოხონელიძე, საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და  
თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირის თავმჯდომარე  
ავთანდილ თათარაძე**  
**ნინო მაღლაკელიძე**  
**თინათინ დავითაძე**

# სისტემური წითელი მგლურა

## განსაზღვრება

სისტემური წითელი მგლურა აუტომუნური გენეზის ქრონიკულ სისტემურ დაავადებას წარმოადგენს. ის უფრო ხშირია ქალებში მამაკაცებთან შედარებით (შეფარდება 7:1). უმთავრესად ავადდებიან ახალგაზრდა, 20-დან 40 წლამდე ასაკის ქალები. მსოფლიოში სისტემური წითელი მგლურას გავრცელება საშუალოდ შეადგენს 40:10 000 ადამიანზე.

## პათოგენეზი


დღესდღეობით სისტემური წითელი მგლურას ეტიოლოგია და პათოგენეზი საბოლოოდ გარკვეული არ არის. ცხადია, რომ მის განვითარებას იმუნოლოგიური მექანიზმები უდევს საფუძვლად. საკუთარი უჯრედების მიმართ იმუნოლოგიური ტოლერანტობის დაქვეითება განაპირობებს აუტოანტისენსულების წარმოქმნას, რომელიც პირდაპირი და/ან არაპირდაპირი (ციტოკინები) ზემოქმედების გზით იწვევს იმუნურ ანთებას.

სისტემური წითელი მგლურას პათოგენეზში მნიშვნელოვან როლს იმუნური კომპლექსების არსებობა ასრულებს. ამ დროს სისხლში ცირკულირებს ანტისენსულები, რომლებიც უკავშირდებიან უჯრედ შიდა ან უჯრედგარე ანტიგენებს. ამ ურთიერთებულების შედეგად წარმოქმნილი იმუნური კომპლექსები ლაგდება თირკმელში და ვითარდება ლუპუს ნეფრიტი. ნორმალურ პირობებში იმუნური კომპლექსების გაუვნებელყოფაში მნიშვნელოვან როლს ელენთა ასრულებს. კერძოდ, იმუნური კომპლექსები უკავშირდება ერითროციტების CR1 რეცეპტორს და გადაიტანება ელენთაში, სადაც ერითროციტებთან შეეავშირებული იმუნური კომპლექსები მაკროფაგების მიერ შთაინთქმება. სისტემური წითელი მგლურას დროს ერითროციტების CR1 რეცეპტორების რაოდენობის შემცირება აღინიშნება, რაც სავარაუდოდ წარმოქმნილი იმუნური კომპლექსების გაუვნებელყოფის შემცირებას, იმუნური კომპლექსების გლომერულებში ჩაღავებასა და გლომერულონეფრიტის განვითარებას უნდა იწვევდეს.

სისტემური წითელი მგლურას დროს კომპლემენტის სისტემაშიც ვითარდება ცვლილებები: სახეზეა ჰიპოკომპლემენტებია და ანტისენსულები კომპლემენტის გარკვეული ცილოვანი ფრაგმენტების მიმართ. დაავადების გააქტივებასთან ერთად ჰიპოკომპლემენტებია უფრო მკვეთრი ხდება, განსაკუთრებით ქვეითდება C3 და C4 კომპლემენტი. ანტისენსულები წარმოიქმნება C1q-ს მიმართაც. აღსანიშნავია, რომ ანტი-C1q ანტისენსულების კონცენტრაციას და დაავადების აქტივობას შორის მნიშვნელოვანი კორელაცია არსებობს. ანტისენსულები წარმოიქმნება ასევე C3 კონვერტაზის მიმართ: C3 ნეფრიტული ფაქტორი იწვევს C3 კომპლემენტის დაქვეითებას, რაც შესაძლებელია დაავადების განვითარებამდე რამდენიმე წლით ადრე გამოვლინდეს.


არსებობს სისტემური წითელი მგლურას განვითარებისადმი გარკვეული მემკვიდრული წინასწარგანწყობა. ეს დაავადება ასოცირებულია მემკვიდრულ ჰიპოკომპლემენტებისთან და MHC და Fc რეცეპტორის გენის მუტაციასთან.

ლუპუს ნეფრიტის პათოგენეზში მნიშვნელოვან როლს ე.წ. აპოფტოზირებული უჯრედების არსებობა ასრულებს. ზოგადად, არსებობს უჯრედის სიკლიდის ორი მექანიზმი: უჯრედის ნეკროზი და აპოფტოზი. უჯრედის ნეკროზის შედეგად ვითარდება იმუნოლოგიური ანთება, ხოლო აპოფტოზირებული უჯრედი შთაინთქმება ფაგოციტების მიერ, რაშიც მონაწილეობას იღებენ Dnase1 და პლაზმის P კომპონენტი. ისინი ნიღბავენ აპოფტოზირებულ უჯრედს, რომლის ელიმინირება ორგანიზმიდან C1q და IgM საშუალებით ხდება. დასახელბულთაგან ერთ-ერთი რომელიმე ფაქტორის ამოვარდნის შემთხვევაში აპოფტოზირებული უჯრედი ანტიგენურ ბუნებას იძენს, რაც განაპირობებს ანტისხეულების წარმოქმნას დნმ-ის, ფოსფოლიპიდების და ნუკლეოსომების მიმართ.



სურ. 1. უჯრედის სიკლიდის ორი მექანიზმი

წარმოქმნილი ანტისხეულები იწვევენ იმუნურ ანთებას, პოდოციტის დაზიანებას, რაც ძირითადად ანტისხეულების მიერ კომპლემენტის სისტემისა და ლეიკოციტების Fc რეცეპტორების გააქტივების გზით ხორციელდება. კომპლემენტის გააქტივებისას წარმოიქმნება ციტოტოქსური ეფექტის მქონე ე.წ. მემბრანის დამაზიანებელი კომპლექსი, რომელიც C5b-9-სგან შედგება. კომპლემენტის სისტემას ასევე აქვს ქემოტაქსური ეფექტი, რაც იწვევს ნეიტროფილებით, თრომბოციტებითა და მაკროფაგებით მეზანგიუმის ინფილტრაციას. იგივეს უწყობს ხელს Fc რეცეპტორიც, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს სისტემური წითელი მგლურას პათოგენეზში. გლომერულების დაზიანება იწვევს ციტოკინების გამოთავისუფლებას და T ლიმფოციტებითა და მაკროფაგებით მეზანგიუმის ინფილტრაციას, რის შედაგადაც თავისუფლდება ოქსიდანტები და პროტეაზები. ყოველივე ზემოაღნიშნულმა ჯამში საბოლოოდ შესაძლოა პროტეინურია, ჰემატურია და გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარის დაქვეითება განაპირობოს.



სქ. 1. გლომერულის იმუნური დაზიანება

### პათოპისტოლოგია

ლუპუს ნეფრიტის დიაგნოზი თირკმლის ბიოფსიური მასალის შესწავლის საფუძველზე ისმება. 1975 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული იქნა ლუპუს ნეფრიტის პატოპისტოლოგიური კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც ექვსი კლასი იქნა გამოყოფილი. ეს კლასიფიკაცია რამდენჯერმე გადაიხედა და მისი თანამედროვე ვარიანტი შემდეგნაირად გამოიყურება:

- I კლასი: მინიმალური მეზანგიური ლუპუს გლომერულონეფრიტი (ლგნ)
- II კლასი: მეზანგიოპროლიფერაციული ლგნ
- III კლასი: ფოკალურ-პროლიფერაციული ლგნ (დაზიანებულია < 50% გლომერულა)
- IV კლასი: დიფუზურ-პროლიფერაციული ლგნ (დაზიანებულია > 50% გლომერულა)
- V კლასი: მემბრანული ლგნ
- VI კლასი: შორსწასული სკლეროზული ლგნ (სკლეროზული > 90% გლომერულა)

- \* III და IV კლასისათვის აღნიშნული უნდა იყოს ფორმა: აქტიური დაზიანებებით (A) / აქტიური და ქრონიკული დაზიანებებით (A/C) / არააქტიური ფორმა ნაწილურებით (C)
- \* III და IV კლასისათვის აღნიშნული უნდა იყოს გლომერულების პროცენტი ფიბრინოიდული ნეპროზით ან უჯრედული ნახევარმოვარებით
- \* IV კლასისათვის აღნიშნული უნდა იყოს ფორმა: ძირითადად სეგმენტური (IV-S) / ძირითადად გლობალური (IV-G)
- \* V კლასი შეიძლება შეგვევდეს III ან IV კლასთან კომბინაციაში, ამ შემთხვევაში ისმება ორივე დიაგნოზი


სქ. 2. ლუპუს გლომერულონეფრიტის კლასიფიკაცია: ISN/RPS, 2002

## I კლასი

მინიმალური მეზანგიური ლუპუს გლომერულონეფრიტი ხასიათდება იმუნური დეპოზიტებით ელექტრონული მიკროსკოპით ან იმუნფლუორესცენციით, უჯრედების პროლიფერაციის გარეშე. ლუპუს ნეფრიტის ამ ფორმისათვის დამახასიათებელია შარდის ანალიზში მხოლოდ უმნიშვნელო ცვილებების არსებობა.

## II კლასი

მეზანგიოპროლიფერაციული ლუპუს გლომერულონეფრიტი ხასიათდება სინათლის მიკროსკოპით მეზანგიური ჰიპერუჯრედოვნებით. იმუნფლუორესცენციით გვხვდება მეზანგიური იმუნური დეპოზიტები; სუბენდოთელური და სუბეპითელური დეპოზიტები შეიძლება შეგვხვდეს უმნიშვნელო რაოდენობით. შარდის ანალიზით აღინიშნება ჰემატურია და სხვადასხვა ხარისხის პროტეინურია.



სურ. 2. მეზანგიოპროლიფერაციული ლუპუს გლომერულონეფრიტი (II კლასი)

## III კლასი

III კლასის ლუპუს ნეფრიტი წარმოადგენს ფოკალურ (დაზიანებულია გლომერულების 50%-ზე ნაკლები), ჩვეულებრივ სეგმენტურ, ენდო- ან ექსტრაკაპილარულ გლომერულონეფრიტს. დამახასიათებელია ფოკალური სუბენდოთელური იმუნური დეპოზიტების არსებობა. შეიძლება გვხვდებოდეს სხვადასხვა ხარისხის ფოკალური ან დიფუზური ცვლილებები მეზანგიუმში.

განარჩევენ ფოკალურ-პროლიფერაციული ლუპუს გლომერულონეფრიტის შემდეგ ფორმებს: აქტიური დაზიანებებით (A), აქტიური და ქრონიკული დაზიანებებით (A/C) და არააქტიური ფორმა ნაწილურებით (C). დიაგნოზში მითითებული უნდა იყოს აქტიური და სკლეროზული დაზიანებების მქონე გლომერულების პროცენტი, ასევე ფიბრინოდული ნეკროზისა და უჯრედული ნახევარმოვარების პროცენტი.



სურ. 3. ფოკალურ-პროლიფერაციული ლუპუს გლომერულონეფრიტი (III კლასი).  
გლომერულის ზოგიერთ ნაწილში პათოლოგიური ცვლილება არ აღინიშნება,  
სხვადასხვა ნაწილებში კი გამოხატულია ფიბრინოიდული ნეკროზი და  
ნახევარმთვარისებრი ჩანართები.




სურ. 4. ფოკალურ-პროლიფერაციული ლუპუს გლომერულონეფრიტი (III კლასი).  
ანთებითი ცვლილებები აღინიშნება გლომერულის ერთ სეგმენტში.  
სურათი მოგვაგონებს სისტემურ ვასკულიტს.

ფოკალური ლუპუს გლომერულონეფრიტის დროს სახეზეა ჰემატურია და  
სხვადასხვა სარისხის პროტეინურია. ნეფროზული სინდრომი გვხვდება შემთხვევათა  
მესამედში, Anti-DNA ანტისხეულები უმეტესწილად მომატებულია, კომპლემენტი C3 და  
C4 კი შემთხვევათა 50%-ში დაქვეითებულია.

#### IV კლასი

IV კლასის ლუპუს გლომერულონეფრიტი ფორმისაგან იმით განსხვავდება, რომ დაზიანებულია გლომერულების 50%-ზე მეტი.




სურ. 5. დიფუზურ-პროლიფერაციული ლუპუს გლომერულონეფრიტი (IV კლასი).  
ანთებითი ცვლილებები აღინიშნება რენალურ სურ გლომერულაში.

III კლასის მსგავსად, განარჩევენ შემდეგ ფორმებს: A, A/C და C. თითოეული გლომერულის დაზიანების სარისხის მიხედვით კი გამოყოფენ ორ ქვეკლასს: დიფუზურ-სეგმენტური (IV-S) და დიფუზურ-გლობალური (IV-G) გლომერულონეფრიტი.




სურ. 6. დიფუზურ-სეგმენტური ლუპუს გლომერულონეფრიტი (IV-S კლასი).  
ანთებითი ცვლილებები აღინიშნება გლომერულის ცენტრში.




სურ. 7. დიფუზურ-გლობალური ლუპუს გლომერულონეფრიტი (IV-G კლასი).  
დაზიანებულია მთლიანი გლომერულები.

იმუნოპისტოქიმიით ვლინდება IgG, C3, IgM, IgA და Clq იმუნური კომპლექსების სუბენდოთელური ჩალაგება. იმუნური დეპოზიტები შეიძლება ასევე გვხვდებოდეს მეზანგიუმშიც.



სურ. 8. დიფუზურ-პროლიფერაციული ლუპუს გლომერულონეფრიტი (IV კლასი).  
იმუნოპისტოქიმია

სუბენდოთელური იმუნური კომპლექსები კარგად ჩანს ელექტრონული მიკროსკოპით.



სურ. 9. დიფუზურ-პროლიფერაციული ლუპუს გლომერულონეფრიტი (IV კლასი).  
ელექტრონული მიკროსკოპია

კლინიკურად IV კლასის ლუპუს გლომერულონეფრიტი ყველაზე მძიმე ფორმაა. დამახასიათებელია ჰემატურია, სხვადასხვა ხარისხის პროტეინურია, გფს-ის დაჭვეითება. პლაზმაში იმატებს Anti-DNA ანტისხეულები და ქვეითდება კომპლემენტი C3 და C4.


## V კლასი

მემბრანული ლუპუს გლომერულონეფრიტი ხასიათდება სუბეპითელურად იმუნური დეპოზიტების ჩაღალური და ბაზალური მემბრანის გასქელებით.



სურ. 10. მემბრანული ლუპუს გლომერულონეფრიტი (V კლასი).


იდიოპათიური მემბრანული გლომერულონეფრიტისგან განსხვავებით V კლასის ლუპუს ნეფრიტის დროს ხშირია მეზანგიუმის პროლიფერაცია და მასში იმუნური დეპოზიტები.



სურ. 11. მემბრანული ლუპუს გლომერულონეფრიტი (V კლასი).  
იმუნური დეპოზიტები სუბეპითელურად და მეზანგიუმში

პაციენტთა 2/3-ში აღინიშნება ნეფროზული სინდრომი. ჰემატურია და ჰიპერტენზია გვხვდება პაციენტთა 40-50%-ში. უმეტეს შემთხვევაში პლაზმაში Anti-DNA ანტისხეულები იმატებს, ხოლო კომპლემენტი C3 და C4 ქვეითდება.


მემბრანული ლუპუს ნეფრიტი შეიძლება შეუდლებული იყოს ფოკალურ (III კლასი) ან დიფუზურ (IV კლასი) პროლიფერაციულ ლუპუს ნეფრიტითან.



სურ. 12. IV და V კლასის ლუპუს გლომერულონეფრიტი

## VI კლასი

ლუპუს ნეფრიტის VI კლასის შემთხვევაში 90%-ზე მეტ გლომერულაში სკლეროზული ცვლილებებია გამოხატული.



სურ. 13. შორსწასული სკლეროზული ლუპუს გლომერულონეფრიტი (VI კლასი)

გარდა ზემოთ აღწერილი მორფოლოგიური ფორმებისა, გვხვდება ლუპუს ნეფრიტის იშვიათი ჰისტოლოგიური ვარიანტებიც, რომლებსაც ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ.

### ინტერსტიციული ლუპუს ნეფრიტი


ინტერსტიციული ლუპუს ნეფრიტის მორფოლოგიურ სურათში გამოხატულია ინტერსტიციუმის ინფილტრაცია ლიმფოციტებით, პლაზმური უჯრედებით, ნეიტროფილებითა და მაკროფაგებით, ტუბულების დაზიანება და ინტესტიციური ფიბროზი. ხშირად ტუბულების ბაზალურ მემბრანასა და მეზანგიუმში აღინიშნება იმუნური კომპლექსების IgG და C3 ჩალაგება.

### ლუპუს ვასკულიტი

ლუპუს ვასკულიტი შესაძლებელია დავყოთ ორ კატეგორიად: 1. ნეკროზული pauci-იმუნური ლუპუს ვასკულიტი და 2. ინტრაგლომერულური მიკროტრომბული დაზიანებები, რომელიც მოგვაგონებს თრომბოტული მიკროანგიოპათიის სურათს.

ნეკროზული pauci-იმუნური ლუპუს ვასკულიტი უმეტეს წილად ასოცირებულია დიფეზურ პროლიფერაციული ლუპუს ნეფრიტთან (IV კლასი). ზიანდება არტერიოლები და წილთაშუა არტერიები. თავდაპირებელი ხდება ენდოთელური უჯრედების დაზიანება და სისხლძარღვთა კედელში IgG, C3, IgM, IgA და ფიბრინული დეპოზიტების ჩალაგება, რასაც შემდგომში თან ხდებს სისხლძარღვის სანათურის ოკლუზია.

თრომბოტული მიკროანგიოპათია შესაძლებელია ასოცირებული იყოს ნებისმიერი კლასის ლუპუს ნეფრიტან. მასზე ეჭვის მიტანა შეიძლება უეცრად აღმოცენებული მყარი არტერიული პიპერტენზიის შემთხვევაში. ეს გართულება ძირითადად ანტიფოსფოლიპიდური ანტისეულების არსებობის შემთხვევაში გვხვდება.



სურ. 14. თრომბოტული მიკროანგიოპათიით გართულებული ლუპუს ნეფრიტი

ლუპუს ნეფრიტის პროგნოზის შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაავადების აქტივობისა და ქრონიზაციის ინდექსის განსაზღვრას. აქტივობის ინდექსის განმსაზღვრელია პროლიფერაციული, ინფილტრაციული, ექსუდაციური, ნეკროზული და თრომბოტული კომპონენტების არსებობა. ქრონიზაციის ინდექსს განსაზღვრავს ფიბროზისა და ატროფიის კომპონენტების არსებობა და მათი ხარისხი. რაც უფრო მაღალია ქრონიზაციის ინდექსი, მით უფრო ცუდია პროგნოზი თირკმლის ფუნქციის გადარჩენის თვალსაზრისით.

აქტიური დაზიანებები	ქულა	ქულა	
- პროლიფერაცია	0 - 3	- სკლეროზული გლომერულა	0 - 3
- ფიბროზიდული ნეკროზი	0 - 6	- ფიბროზული ნახევარმთვარები	0 - 6
- პიალინური თრომბები	0 - 3	- ტუბულების ატროფია	0 - 3
- ექსტრაკაპილური პროლიფერაცია	0 - 6	- ინტერსტიციული ფიბროზი	0 - 6
- ლეიკოციტური ექსუდაცია	0 - 3		
- მონონუკლეური ტუბულო-ინტერსტიციური ინფილტრაცია	0 - 3		
<b>აქტივობის ინდექსი</b>	<b>0 - 24</b>	<b>ქრონიზაციის ინდექსი</b>	<b>0 - 12</b>

ცხრ. 1. აქტივობისა და ქრონიზაციის ინდექსები  
ლუპუს გლომერულონეფრიტის დროს

## კლინიკური სურათი

კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით განასხვავებენ სისტემური წითელი მგლურას შემდეგ ფორმებს:

- იზოლირებული კანის ფორმა (დისკოიდური ლუპუსი);
- სისტემური წითელი მგლურა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა თრგანოსა და ორგანოთა სისტემებს;
- მედიკამენტით ინდუცირებული სისტემური წითელი მგლურა.

სისტემური წითელი მგლურა ხშირად იწყება სახსროვანი სინდრომით, საერთო სისუსტით, გახდომით, სუბფებრილური ტემპერატურით, ლიმფადენოპათიით. უფრო იშვიათად გვხვდება მწვავე დასაწყისი – მაღალი ტემპერატურა, სახსრების ძლიერი ტკივილი და დეფორმაცია.

ტიპიურია სახეზე სხვადასხვა ტიპის ერითემული გამონაყარი: არამყარი „პეპელა“ მოწითალო-ციანოზური ელფერით, რომელიც ძლიერდება მთელი რიგი ფაქტორების (ქარი, სიცივე, სიცხე) ზემოქმედებით, ლაქები შეშუპებულ სახეზე, დისკოიდური ტიპის „პეპელა“ და სხვა.

სისტემური წითელი მგლურას ერთ-ერთი ხშირი გამოვლინებაა სახსროვანი დაზიანება და გვხვდება შემთხვევათა 60-80%-ში. სახსრების დაზიანება არასიმეტრიული და მიგრაციული ხასიათისაა. ყველაზე ხშირად ზიანდება მუხლის, კოჭ-წვივის, მტევნის, იდაყვის სახსრები. იშვიათად შესაძლებელია განვითარდეს სახსრების დეფორმაცია. სახსროვან სინდრომს თან ახლავს მიაღვია და მიოზიტი.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაზიანება სისტემური წითელი მგლურას დროს საკმაოდ ხშირია. ავდმყოფები უჩივიან უმაღლებას, დისპეციურ მოვლენებს, ყლაპვის გაძნელებას. მეზენტერიულმა ვასკულიტმა შესაძლებელია გამოიწვიოს მწვავე მუცელის კლინიკა. შემთხვევათა 10%-ში შესაძლებელია აღინიშნოს ჰეპატოსპლენომეგალია.

გულის დაზიანება დაავადების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება გამოვლინდეს. ყველაზე ხშირად აღინიშნება პერიკარდიტი, რომელსაც ახასიათებს რეციდივები. ასევე დამახსასიათებელია მიტრალური და სამკარიანი სარქელების დაზიანება. საკმაოდ ხშირად აღინიშნება მიტრალური სარქვლის პროლაფსი. მიოკარდიუმის დაზიანება ხშირად არითმის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორია. სისტემური წითელი მგლურას დროს არცთუ იშვიათია კორონარული სისხლძარღვების დაზიანება და მიოკარდიუმის ინფარქტი, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს კორტიკოსტეროიდული თერაპიით, პიპერქოლესტერინემიითა და არტერიული პიპერტენზიით.

ლრმა ვენებისა და არტერიების მორცეილივე თრომბოზის განვითარება ხშირ შემთხვევაში ანტიფოსფოლიპიდური ანტისხეულების არსებობის შედეგია.

ფილტვების დაზიანება დაკავშირებულია ძირითად დაავადებასთან ან გამოწვეულია მეორადი ინფექციით. შეიძლება განვითარდეს ლუპუს-პნევმონიტი. მწვავე მიმდინარეობისას ავადმყოფს აწუხებს ძლიერი ქოშინი, ხველა, აუსკულტაციით ქვემო წილებში მოისმინება კრეპიტაცია. რენტგენოლოგიურად ვლინდება ფილტვის სურათის გაძლიერება სისხლძარღვანი კომპონენტის ხარჯზე. სისტემური წითელი მგლურას დროს ასევე შეიძლება შეგვხდეას ექსუდაციური პლევრიტი.

კრიტერიუმი	განსაზღვრება
“პეპელა” სახეზე	ფიქსირებული ზედაპირული ან ოდნავ შემაღლებული ეგზანთემა, რომელიც არ ვრცელდება ცხვირსა და ტუჩებზე
დისკოიდური ლუპუსი	ერთეულებული შემაღლებული ლაქები კერატოზით
ფოტოსენიტიურობა	კანის ეგზანთემა მზის სხივების ზემოქმედების შედეგად
პირისა და ცხვირის დრუს ლორწოვანის წყლულები	ჩვეულებრივ უმტკივნეულო
ართრიტი	ორი ან მეტი პერიფერიული სახსრის არაერთზიული ართრიტი ტკივილით, შეშეპებით და ექსუდაციით
სეროზიტი	- პლევრიტი - პერიკარდიტი
თირკმლების დაზიანება	- პერსისტული პროტეინურია $> 0.5\text{g}$ დღეში - ცილინდრულია
ნევროლოგიური დარღვევები	პრუნქნები ან ფსიქოზი მეტაბოლური დარღვევების გარეშე
ჰემატოლოგიური დარღვევები	- ჰემოლიზური ანემია რეტიკულოციტოზით - ლეიკოპენია $< 4000/\text{მმ}^3$ - ლიმფოციტოპენია $< 1500/\text{მმ}^3$ - თრომბოციტოპენია $< 100\ 000/\text{მმ}^3$
იმუნოლოგიური დარღვევები	- LE უჯრედები - Anti-DNA - Anti-SM - სიფილისის ცრუ დადებითი სეროლოგია
ანტინეკლეური ანტისეულები	

ცხრ. 2. სისტემური წითელი მგლურას სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები ამერიკის რევმატოლოგთა ასოციაციის მიხედვით. აღნიშნულთაგან ოთხი ან მეტი სიმპტომის არსებობის შემთხვევაში ისმება სისტემური წითელი მგლურას დიაგნოზი.

ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ ცვლილებები შესაძლებელია გამოვლინდეს ასთენიურ-ვეგეტატიური სინდრომით, დეპრესიით, თავის ტკივილით, გენერალიზირებული კრუნქნებით, ასეპტიური მენინგიტით, ქორეით, ცერებრული ატაქსიით, პოლინევრიტით.

სისტემური წითელი მგლურას დროს განსაკუთრებით ხშირად ზიანდება თირკმელი. კლინიკურ სურათს განსაზღვრავს თირკმლის მორფოლოგიური დაზიანების ხარისხი, რომლის შესახებაც ლუპუს ნეფრიტის პისტოპათოლოგიის განხილვისას გვქონდა საუბარი.

ანემია აღინიშნება პაციენტთა 30-40%-ში, იმატებს რეტიკულოციტები, ხოლო პლაზმაში პაპტოგლობინი მცირდება. ანტისეულები ერთოროპოეტინის მიმართ გვხვდება პაციენტთა 15%-ში. ლეიკოპენია შესაძლებელია განპირობებული იყოს ანტინეკლეური ანტისეულებისა ან იმუნური კომპლექსების არსებობით. სისტემური წითელი მგლურას დროს არცთუ იშვიათია თრომბოციტოპენია, რამაც შესაძლებელია განაპირობოს პერიოდია და პეტექების გაჩენა კანზე.

სისტემური წითელი მგლურით დაავადებულ პაციენტთა 95%-ში დადგებითია ანტისუკლეური ანტისხეულები (ANA). იგი გვხდება სხვა სისტემური პათოლოგიების დროსაც და ნაკლებად სპეციფიურია. ხშირ შემთხვევაში დადგებითია Anti-ss-DNA და Anti-ds-DNA ანტისხეულები. სისტემური წითელი მგლურასთვის განსაკუთრებით სპეციფიურია Anti-ds-DNA ანტისხეულები, მისი საშუალებით შესაძლებელია დაავადების აქტივობაზე მსჯელობაც. სისტემური წითელი მგლურით დაავადებულ პაციენტებში ანტისხეულები წარმოიქმნება სხვა ანტიგენების მიმართაც: ანტიპისტონური, ანტი-Sm, ანტირიბონუკლეოპროტეინული, ანტისხეულები Ro და La მიმართ. დაქვეითებულია C1q, C4, და C3 კომპლემენტი.

ზოგ შემთხვევაში ანტისხეულები წარმოიქმნება უარყოფითად დამუხტული ფოსფოლიპიდების მიმართაც. ანტიფოსფოლიპიდური ანტისხეულები მიმართულია ფოსფოლიპიდთან შეკავშირებული ცილის მიმართ, რომელიც ორი სახისაა - ბეტა-2 გლიკოპროტეინ 1 და პროტრომბინი. მათგან ბეტა 2 გლიკოპროტეინ 1-ს უფრო მეტი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ანტიფოსფოლიპიდური ანტისხეულები გვხვდება სისტემური წითელი მგლურას 44-53%-ში, ისინი შეიძლება გამოვლინდეს სხვა სისტემური დაავადებების დროსაც. ანტიფოსფოლიპიდური ანტისხეულების არსებობისას ხშირია განმეორებითი ვენური და არტერიული თრომბოზები, აბორტები, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება, თრომბოციტოპენია, ჰემოლიზური ანემია.


## მკურნალობა

I და II კლასის ლუპუს გლომერულონეფრიტის შემთხვევაში სპეციფიური მკურნალობა ნაჩვენები არ არის. ექსტრარენული კლინიკური ნიშნების (ართრალგია, ართრიტი, მიალგია, და ტემპერატული რეაქცია) გამოვლენის შემთხვევაში მკურნალობა მოიცავს ძირითადად სალიცილატების დანიშვნას. იმ პაციენტებში, რომელთაც დვიძლისა და თირკმლის დაქვეითებული ფუნქცია აქვთ, სალიცილატების გამოყენება სიფრხილით უნდა მოხდეს. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამინოქინოლინის ჯგუფის პრეპარატები (ქლოროქინი 250-500 მგ/დღეში და ჰიდროქსიქლოროქინი 200-400 მგ/დღეში), რომლებიც საკმაოდ ეფექტურია მხოლოდ ექსტრარენული კლინიკური სიმპტომების არსებობის დროს. ამ პრეპარატებს ასასიათებს შემდეგი გვერდითი მოვლენები: ლებინება, დერმატიტი, ლეიკოპენია და რეტინოპათია.

ზოგ შემთხვევაში შეიძლება არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების ფრთხილი გამოყენება, თუმცა გამორიცხული არ არის მათ მიერ თირკმლის გორგლოვანი ფილტრაციის დაქვეითება პროსტაგლანდინების პროდუქციის დაქვეითების გზით.


ზემოთ აღნიშნული პრეპარატების არაეფექტურობის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სტეროიდის მცირე დოზები (პრედნიზოლონი 0,2-0,4 მგ/კგ წონაზე).

ფოკალურ-პროლიფერაციული ლუპუს გლომერულონეფრიტით (III კლასი) დაავადებული პაციენტები მნიშვნელოვანი ჰისტოლოგიური ცვლილებებისა და კლინიკური ნიშნების არარსებობის დროს სპეციფიურ მკურნალობას ასევე არ საჭიროებენ. ისინი იმყოფებიან ნეფროლოგის მეთვალყურეობის ქვეშ და უტარდებათ სიმპტომური თერაპია არ ბლოკერითა და/ან აგფ ინჰიბიტორით. პაციენტებს, რომელთაც თირკმლის მორფოლოგიური კვლევით გლობალური დაზიანება, ნეფროზული ხარისხის პროცესით და/ან ჰიპერკრეატინინემია აღნიშნებათ, მკურნალობა უტარდებათ იმავე სქემით, როგორც IV კლასის ლუპუს ნეფრიტის შემთხვევაში (იხ. ქვემო).



სქ. 3. III კლასის პგნ მკურნალობის ალგორითმი

მემბრანული ლუპუს გლომერულონეფრიტით (V კლასი) დაავადებული პაციენტები უსიმპტომო პროტეინურიითა და თირკმლის სტაბილური ფუნქციით ჩვეულებრივ მხოლოდ სიმპტომურ თერაპიაზე იმყოფებიან. პაციენტები უფრო მძიმე კლინიკური ნიშნებით (ნეფროზული ხარისხის პროტეინურია, ჰიპერკორეტინინემია და/ან მორფოლოგიურად მემბრანული და პროლიფერაციული ლუპუს ნეფრიტის შერეული ფორმა) საჭიროებენ სპეციფიურ იმუნოსუპრესიულ მკურნალობას.



სქ. 4. III კლასის პგნ მკურნალობის ალგორითმი

პრაქტიკულად ყველა პაციენტი დიფუზურ-პროლიფერაციული ლუპუს გლომერულონეფრიტით საჭიროებს სპეციფიურ იმუნოსუპრესიულ თერაპიას. განარჩევენ მკურნალობის ორ ფაზას: ინდუქციური და შემანარჩუნებელი. ინდუქციური თერაპია გულისხმობს რემისიის მიღწევის მიზნით იმუნოსუპრესანტების გამოყენებას, შემანარჩუნებელი კი - ხანგრძლივ იმუნოსუპრესიას შედარებით დაბალი დოზით რეციდივის პრევენციისათვის.

ინდუქციური თერაპიის მიზანია წითელი მგლურას აქტივობის დათრგუნვა, რაც გამოიხატება ექსტრარენული სიმპტომების დათრგუნვაში, სეროლოგიური დარღვევების კორეგირებაში, პროტეინურიის, ჰემატურიის, პიურიის, ცილინდრურიის გაქრობაში და გფს-ის სტაბილიზაციაში.

სისტემური წითელი მგლურას ინდუქციურ თერაპიაში ერთ-ერთი წამყვანი როლი დღემდე კორტიკოსტეროიდებს უკავია. დაავადების მძიმე მიმდინარეობისას (თირკმლების მწვავე უკმარისობა, სწრაფად პროგრესირებადი გლომერულონეფრიტი, მძიმე ექსტრარენული სიმპტომები) სწრაფი იმუნოსუპრესიის მისაღწევად გამოიყენება მეთილპრედნიზოლონის ინტრავენური პულსი - 500-1000 მგ სამი-ხუთი დღის განმავლობაში, შესაძლოა განმეორებითი პულსებიც თვეში ერთხელ. ამის შემდეგ მკურნალობა გრძელდება პერორალური პრედნიზოლონით - დასაწყისში 1 მგ/კგ წონაზე, კლებადი დოზით. დაავადების შედარებით მსუბუქი მიმდინარეობისას შეიძლება მკურნალობა თავიდანვე პერორალური სტეროიდით იქნას დაწყებული.

დღესდღეობით ლუპუს გლომერულონეფრიტის მკურნალობა ჩვეულებრივ ტარდება კორტიკოსტეროიდისა და ციტოტრექსიური მედიკამენტის კომბინაციით, რამდენადაც სტეროიდით მონოთერაპიის შემთხვევაში საკმაოდ მაღალია როგორც რეზისტენტობის, ასევე რეციდივების სიხშირე. ყველაზე ხშირად გამოიყენება სტეროიდისა და ციკლოფონსფამიდის კომბინაცია. კლასიკური სქემაა ციკლოფონსფამიდით ინტრავენური პულს-თერაპია თვეში ერთხელ ექვსი თვის განმავლობაში. საწყისი დოზაა 0.75 გ/მ<sup>2</sup>, მსუბუქი, ხანშიშესულ და დაქვეითებული გფს-ის მქონე პაციენტებში რეკომენდებულია უფრო დაბალი დოზის გამოყენება - 0.50 გ/მ<sup>2</sup>. თუ ინფუზიიდან მე-10-14 დღეს ლეიკოციტების რაოდენობა < 4000/მკლ ან ლიმფოციტების რაოდენობა < 1500/მკლ, ციკლოფონსფამიდის შემდეგი დოზა უნდა შემცირდეს 0.25 გ/მ<sup>2</sup>-ით, ხოლო თუ პაციენტის მდგომარეობა არ უმჯობესდება, შეიძლება დოზის გაზრდა, მაქსიმუმ 1.0 გ/მ<sup>2</sup>-მდე.

ციკლოფონსფამიდის არასასურველი გვერდითი მოვლენების (მძიმე იმუნოსუპრესია, შარდის ბუშტის გაღიზიანება და კიბო, შეუქცევადი გონადოტოქსიურობა და სხვ.) მაღალი სიხშირიდან გამომდინარე შემოთავაზებულია ალტერნატიული სქემა უფრო დაბალი დოზის გამოყენებით - 500 მგ ინტრავენურად ორ კვირაში ერთხელ, სამი თვის განმავლობაში (სულ ექვსი ინფუზია). არსებობს მონაცემები, რომ ამ სქემით შეიძლება მაღალდოზიანი რეუიმის მსგავსი კლინიკური ეფექტის მიღწევა გვერდითი მოვლენების ნაკლები რისკით, თუმცა ეს უნდა დადასტურდეს უფრო ფართო კვლევებით. არსებობს მოსაზრება, რომ ციკლოფონსფამიდის დოზირება ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს, დაავადების სიმძიმის, მკურნალობაზე პასუხის, გვერდითი მოვლენების რისკის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ციკლოფონსფამიდის ალტერნატივას ლუპუს გლომერულონეფრიტის ინდუქციურ თერაპიაში წარმოადგენს მიკოფენოლატის მოფეტილი - 0.5-1.5 გ ორჯერ დღეში. სხვადასხვა კვლევები მიუთითებს, რომ სერიოზული გვერდითი მოვლენების სიხშირე გაცილებით ნაკლებია ციკლოფონსფამიდთან შედარებით, ხოლო ეფექტურობა რემისიის მიღწევის თვალსაზრისით არანაკლებია - განსაკუთრებით შედარებით შენარჩუნებული გფს-ის და ნაკლებად მძიმე პროტეინურიის შემთხვევაში.

ციკლოსპორინის გამოყენება დიფუზურ-პროლიფერაციული ლუპუს გლომერულონეფრიტის ინდუქციური თერაპიისათვის ნაკლებად არის შესწავლილი. ეს მედიკამენტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო ხშირად V კლასის (მემბრანული) ლგნის მკურნალობაში გამოიყენება.

პლაზმაფერეზის ეფექტურობა სისტემური წითელი მგლურას მკურნალობაში დღეისათვის არსებული კვლევების მიხედვით არ დასტურდება. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლოა გამართლებული იყოს თრომბოტული მიკროანგიოპათიით გართულებული ლუპუს ნეფრიტის შემთხვევაში ან ანტიფოსფოლიპიდური ანტისეულების მაღალი ტიტრის არსებობისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინდუქციური თერაპიის შემდგომ უნდა გაგრძელდეს შემანარჩუნებელი თერაპია, რომლის მიზანია ლუპუს გლომერულონეფრიტის რეციდივის პრევენცია. ამ მიზნით ყველაზე ხშირად შემდეგი მედიკამენტები გამოიყენება:

- ინტრავენური ციკლოფოსფამიდით პულს-თერაპიის გაგრძელება სამ თვეში ერთხელ სრული რემისის დადგომიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში;
- აზათიოპრინი ან მიკოფენოლატის მოფეტილი 12-24 თვე;
- ციკლოსპორინი 24 თვის მანძილზე.

თუ რემისია მიღწეული იქნა მიკოფენოლატის მოფეტილით, ლოგიკურია შემანარჩუნებელი თერაპიისათვის მისი გაგრძელება შედარებით მცირე დოზით. ციკლოფოსფამიდით რემისი მიღწევის შემთხვევაში შეიძლება მისი გაიშვიათებული ბოლუსების გამოყენება, თუმცა ალბათ უმჯობესია აზათიოპრინზე ან მიკოფენოლატზე გადასვლა გვერდითი მოვლენების რისკის შემცირების მიზნით. ციკლოსპორინი ასევე საკმაოდ ეფექტურია შემანარჩუნებელი თერაპიისათვის, თუმცა მის გამოყენებას ზღუდავს მაღალი ფასი და ნეფროტოქსიურობა.

იმ შემთხვევაში, თუ შემანარჩუნებელი თერაპიის ფაზაში არ აღინიშნებოდა დაავადების გამწვავების ეპიზოდები, პაციენტი გადადის მონოთერაპიაზე სტეროიდის დაბალი დოზით (0.1 - 0.2 მგ/კგ დღეში). სტეროიდის გვერდითი მოვლენების შესამცირებლად შეიძლება პაციენტის გადაყვანა ალტერნაციულ რეჟიმზე (ყოველ მეორე დღეს). იმუნოსუპრესიის სრული მოხსნა საკმაოდ სარისკოა და მისი მოხინჯვა შეიძლება დაავადების სრული რემისის დადგომიდან მინიმუმ სამი წლის გასვლის შემდეგ, სტეროიდის დოზის ძალზე ფრთხილი კლებით და მკაცრი მონიტორინგის ქვეშ.

თანამედროვე იმუნოსუპრესიული სქემების გამოყენების შემთხვევაში ლუპუს გლომერულონეფრიტის რეზისტენტობა საკმაოდ იშვიათია და მონაცემები ასეთი პაციენტების მკურნალობის შესახებ შეზღუდულია. თუ ინდუქციური თერაპიისათვის მიკოფენოლატი გამოიყენებოდა, ჩვეულებრივ მოისინჯება პაციენტის ციკლოფოსფამიდზე გადაყვანა და პირიქით. ორივე მედიკამენტზე რეზისტენტობის შემთხვევაში შეიძლება რიტუქსიმაბის გამოყენება (0.5 - 1 გ პირველ და მეოთხმეტე დღეებში). წინასწარი მონაცემები ამ უკანასკნელის ეფექტურობის შესახებ დამაიმდებლია, თუმცა ის საჭიროებს შემდგომ კვლევას პაციენტთა მრავალრიცხვან ჯგუფებზე. ალტერნატიულად შეიძლება ინტრავენური იმუნოგლობულინის, მაღალდოზიანი ქიმიოთერაპიის და დეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის, მონოკლონური ანტისეულების და სხვ. გამოყენება.

შემანარჩუნებელი თერაპიის ფაზაში პაციენტების დაახლოებით ერთ მესამედს აღენიშნება ლუპუს გლომერულონეფრიტის რეციდივი. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოვლინდეს მზარდი პროტეინურიით, კრეატინინის მატებით, ჰემატურიის ან ცილინდრურიის გაჩენით, სეროლოგიური მონაცემებით და სხვ. ხშირ შემთხვევაში საჭიროა თირკმლის განმეორებითი ბიოფსია იმის დასაზუსტებლად, საქმე გვაქვს ჭეშმარიტ იმუნოლოგიურ გაძტევებასთან თუ მეორადი ჰემოდინამიკური და მეტაბოლური ფაქტორებით გამოწვეულ გლომერულოსკლეროზთან. რეციდივის შემთხვევაში მკურნალობის ზუსტი რეკომენდაციები არ არსებობს, თუმცა ცხადია, რომ უნდა მოხდეს იმუნოსუპრესიის გაძლიერება - სტეროიდის დოზის გაზრდა, მისი ინტრავენური ბოლუსის გამოყენება, ქიმიოთერაპიის კურსის სრული ან ნაწილობრივი განმეორება ან სხვ.

თირკმლების ტერმინალური უკმარისობის და დიალიზით მკურნალობის დაწყების შემდეგ რამდენიმე თვეში სისტემური წითელი მგლურას კლინიკური და სეროლოგიური აქტივობა ჩვეულებრივ მცირდება. ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია იმუნოსუპრესიული თერაპიის სრული შეწყვეტა. პაციენტების უფრო მცირე ჯგუფში შეიძლება გამოვლინდეს ისეთი კლინიკური სიმპტომები, როგორიცაა ცხელება, გამონაყარი, მიაღვია, სეროზიტი, ცერებრიტი და ა.შ. ასეთი პაციენტები პრედნიზოლონით შემანარჩუნებელ თერაპიას საჭიროებენ, რაც ზრდის ინფექციის, ათეროგენუზისა და ოსტეოპათიის რისკს.

თირკმლის ტრანსპლანტაციის შემდეგ ლუპუს გლომერულონეფრიტის რეციდივის სიხშირე დაახლოებით 3-9 %-ს შეადგენს. ჩვეულებრივ, პისტოლოგიური სურათი მძიმე არ არის და გამოიხატება მეზანგიური, ფოკალურ-პროლიფერაციული ან მალზე იშვიათად დიფუზურ-პროლიფერაციული გლომერულონეფრიტით. კლინიკური გამოვლენა იშვიათია და ტრანსპლანტაციის ფუნქციის კარგვისა და მწვავე მოცილების სიხშირე არ აღემატება სხვა მიზეზით გამოწვეულ თირკმლების ტერმინალური უკმარისობის შემთხვევებს.

პოსტტარნსპლანტაციურ პერიოდში მთავარი პრობლემები განპირობებულია არა თავად დაავადების რეციდივის რისკით, არამედ ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ჰიპერლიპიდემია, ჰიპოალბუმინემია და არტერიული ჰიპერტენზია. ხანგრძლივი თერაპია კორტიკოსტეროიდებით ზრდის არა მხოლოდ კარდიოვასკულური დაავადების რისკს, არამედ შეიძლება გამოიწვიოს შაქრიანი დიაბეტი, ოსტეოპათია, ინფექცია, მიოპათია და კატარაქტა, ინფექციური გართულებები. იმუნოსუპრესიასთან დაკავშირებული გართულებების რისკის შემცირების თვალსაზრისით რეკომენდებულია თირკმლის ტრანსპლანტაციის გადადება დიალიზის დაწყებიდან მინიმუმ ერთი წლით, რაც იმუნოსუპრესიისაგან თავისუფალ პერიოდში ორგანიზმის იმუნური ძალების აღდგენას უწყობს ხელს.

# **პემოლიზურ-ურემიული სინდრომი და თრომბოტულ-თრომბოციტოპენიული პურპურა**

## **განსაზღვრება**

პემოლიზურ-ურემიული სინდრომი (პუს) და თრომბოტულ-თრომბოციტოპენიული პურპურა (თთპ) წარმოადგენს მსგავს სინდრომებს, რომლებიც ხასიათდებიან კუმბს-ნეგატიური პემოლიზური ანემიით და ფრაგმენტოციტების წარმოქმნით, თრომბოციტოპენით, თრომბოციტულ-ფიბრინული თრომბების გაჩენით კაპილარებში, არტერიოლებში და იშვიათად არტერიებში სისხლძარღვოვანი ანთების გარეშე. ხშირად ამ ორ პათოლოგიას საერთო სახელმწოდების ქვეშ – თრომბოტული მიკროანგიოპათია – აერთიანებენ.


მოსაზრება იმის შესახებ, პემოლიზურ-ურემიული სინდრომი და თრომბოტულ-თრომბოციტოპენიური პურპურა მსგავსი კლინიკური სურათით მიმდინარე ორი დამოუკიდებელი დაავადებაა თუ ერთი და იმავე დაავადების ორი განსხვავებული გამოვლენა, არაერთმნიშნვლოვანია. ორივე სინდრომისათვის დამახასიათებელი აუცილებელი კომპონენტებია თრომბოციტოპენია და მიკროანგიოპათიური პემოლიზური ანემია. დიაგნოზი – პემოლიზურ-ურემიული სინდრომი თუ თრომბოტულ-თრომბოციტოპენიური პურპურა – ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ორგანოს დაზიანებაა წინა პლანზე. თრომბოტულ-თრომბოციტოპენიური პურპურის დროს დომინირებს ცხელება და ნევროლოგიური დარღვევები თირკმლების სრულად ან შედარებით შენახული ფუნქციის ფონზე, ხოლო პემოლიზურ-ურემიული სინდრომის აუცილებელი კომპონენტია თირკმლების მწვავე უკმარისობა, ნერვული სისტემის მნიშვნელოვანი დაზიანების გარეშე. ეს კლასიფიკაცია გარკვეულწილად არაზუსტია, რამდენადაც ცენტრალური ნერვული სისტემის დაინტერესების საკმაოდ მძიმე სიმპტომები შეიძლება გამოიხატოს ჰუს-ის ფარგლებში არსებული ანემის, ურემიის და არტერიული ჰიპერტენზიის შედეგად, უშუალოდ თავის ტვინში მიკროთრომბული გართულებების განვითარების გარეშე. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, ამ ორ სინდრომს შორის განსხვავება პირობითია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სპეციალობის ექიმთან ხვდება პაციენტი – ნეფროლოგები მას ჰუს-ს უწოდებენ, ხოლო ნევროლოგები – თთპ-ს.

ადსანიშნავია, რომ ბოლო დროს დაგროვდა საკმაოდ დიდი ცოდნა პემოლიზურ-ურემიული სინდრომისა და თრომბოტულ-თრომბოციტოპენიური პურპურის პათოგენეზის შესახებ. გარკვეული მონაცემები მიუთითებენ, რომ შესაძლოა ამ ორ სინდრომს განსხვავებული მექანიზმი ედოს საფუძვლად, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ეს მნიშვნელოვანია მკურნალობის სწორი ტაქტიკის განსასაზღვრად.

## **ეტიოლოგია და პათოგენეზი**

ავტორების უმრავლესობა მიკროანგიოპათიური პროცესის ცენტრალურ ფაქტორად ენდოთელიუმის დაზიანებას განიხილავს. ამის შედეგად ხდება არტერიოლებსა და კაპილარებში თრომბოციტების დეპოზიცია და ცირკულაციიდან მათი დიდი რაოდენობის გამოთიშვა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ დაავადებასთან ასოცირებული ყველა აგენტი მიკროსისხლძარღვების ენდოთელიუმის მიმართ ტოქსიურობით ხასიათდება.

თრომბოტული მიკრონაგიოპათიის პათოგენეზში მონაწილე სხვადასხვა ფაქტორის კლასიფიკაცია შეიძლება ვასკულური დაზიანების მაპროვოცირებელ და მემკვიდრული წინასწარგანწყობის ფაქტორებად. მემკვიდრული ფაქტორები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ოჯახური და მორეციდივე ფორმების შემთხვევაში. პუს/თთა სხვადასხვა ფორმის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე ფაქტორის ერთობლივ მონაწილეობას, რასაც სინდრომის განვითარების კასკადი მოყვება. ეს პროცესი სქემატურად შეიძლება შემდგნაირად წარმოვადგინოთ:




**სურ.1 თრომბოტული მიკროანგიოპათიის განვითარების პათოგენეზი მემკვიდრული წინასწარგანწყობის მქონე პაციენტებში ვასკულური დაზიანების მაპროვოცირებელი ფაქტორების ზემოქმედებით**

ვასკულური დაზიანების მაპროვოცირებული ფაქტორები

**ბაქტერიული ტოქსინები**

თრომბოტული მიკროანგიოპათიის შემთხვევათა დიდ უმრავლესობას ბავშვებში და ათ პროცენტები ნაკლებს მოზრდილთა ასაკში წინ უძღვის სისხლიანი დიარეის ეპიზოდი. ამ შემთხვევაში მთავარი პათოგენეზური მექანიზმია ენტერობაქტერიიდან გამონთავისუფლებული ტოქსინის მოხვედრა სისხლის მიმოქცევაში. თრომბოტული მიკროანგიოპათიის ამ ფორმის დროს ჩვეულებრივ წინა პლანზეა თირკმლების დაზიანება, ანუ ძირითადად ისმება ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის დიაგნოზი. ასევიაცია პუს-სა და დიარეას შორის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დაუდგენელი ზუსტი ეტიოლოგიის შემთხვევაში დაავადება შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც პუს დიარეით (და პუს) ან დიარეის გარეშე (და პუს). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, და პუს ძირითადად ბავშვთა ასაკისთვისაა დამახასიათებელი. ის თრომბოტული მიკროანგიოპათიის სხვა ფორმებთან შედარებით კეთილთვისებიანი მიმდინარეობით ხასიათდება.

ითვლება, რომ პოსტდიარეული პუს-ის შემთხვევათა დიდი უმრავლესობა განპირობებულია ე.წ. ენტეროჰემორაგიული ნაწლავის ჩხირით (EHEC - Enterohemorrhagic E. Coli). ყველაზე ხშირად გვხვდება მისი O157:H7 შტამი. ეს ბაქტერია ახდენს ე.წ. ვეროციტოტოქსინის (იგივე „შიგას მსგავსი ტოქსინი“) პროდუქციას, აქედან გამომდინარებს მისი სახელწოდების მეორე ვარიანტი – VTEC (Verocytotoxin Producing E. Coli). VTEC ზოონზეს წარმოადგენს, მისი ადამიანისათვის პათოგენურ ვაირანტებს კი დამატებითი ვირულენტური ფაქტორები აქვთ. მათ შეუძლიათ ბაქტერიული რეცეპტორების განთავსება ენტეროციტებში და შემდეგ მათთან მჭიდრო კავშირის დამყარება. ისინი იღებენ ეგზოტოქსინის სეპრეციისათვის ხელსაყრელ პოზიციას.



სურ.2 კავშირი VTEC და ენტეროციტს შორის:  
ა) სქემატურად; ბ) ელექტრონულ მიკროსკოპში

VTEC მიერ პროდუცირებული ვეროციტოტოქსინი პუს-ის განვითარებას შესაძლოა რამდენიმე მექანიზმით იწვევდეს, მათ შორის:

- პირდაპირი ტოქსიური ზემოქმედება;
- ნეიტროფილების აკუმულაცია, რაც შეიძლება განპირობებული იუოს ლეიკოციტების ადჰეზიის მოლეკულების აქტივაციით, პროინფლამატორული ნივთიერებების სეპრეციით, აპოპტოზის ინკიბირებით. პოსტდიარეული პუს-ისათვის დამახასიათებელია ლეიკოციტოზის განვითარება ;
- ენდოთელინების და სხვა ციტოკინებისა და ქემოკინების გაძლიერებული გამონთავისუფლება;
- ნაწლავის სისხლძარღვების დაზიანება, რის შედეგადაც სისტემურ ცირკულაციაში ხვდება ენდოტოქსინი და ანთებითი მედიატორები;
- თრომბოციტების აგრეგაციის პირდაპირი სტიმულაცია;
- თირკმლის ეპითელური უჯრედების არაპირდაპირი სენსიტიზაცია ტოქსინების მიმართ.

პოსტდიარეული ჰუს-ის შემთხვევაში პროცესში თირკმლების მუდმივი აქტიური მონაწილეობა მიუთითებს, რომ ვერციტოტოქსინი მიღრეკილია რენულ ცირკულაციაში მოხვედრისაკენ. ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ თრი დაკვირვება მეტყველებს:

- ენდოთელური უჯრედის მემბრანის გლიკოლიპიდური რეცეპტორი (Gb3), რომელიც ტოქსინს უკავშირდება, ძირითადად გლომერულებში გხვდება. მაგალითად, აქ ის 50-ჯერ მეტია ჭიპლარის ვენის ენდოთელურ უჯრედთან შედარებით. რეცეპტორის განსხვავებული ლოკალიზაცია ბავშვებსა და მოზრდილებში შეიძლება გარკვეულწილად განაპირობებდეს დაავადების უფრო მაღალ სიხშირეს ბავშვებში.
- ტოქსინი ახდენს სიმსივნის ნეკროზის ფაქტორის (TNF) გამონთავისუფლების სელექტიურ სტიმულაციას თირკმელში. ამის ზუსტი მექანიზმი დაუდგენელია.

ვერციტოტოქსინს ასევე შეუძლია თირკმლის მიღაკები ეპითელური უჯრედების აპოფტოზის და/ან მნიშვნელოვანი დაზიანების გამოწვევა. გაურკვეველია, თუ რამდენად მონაწილეობს ეს პროცესი თირკმლების მწვავე უკმარისობის განვითარებაში.

არსებობს მოსაზრება, რომ VTEC-ით გამოწვეული ჰემორაგიული კოლიტის შემთხვევაში ჰუს-ით გართულების რისკი შეიძლება გაიზარდოს იატროგენულად, კერძოდ ანტიბიოტიკოთერაპიით (ბაქტერიების სიკვდილის გამო ტოქსინის გაძლიერებული გამონთავისუფლების შედეგად) და ფალარათის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით (ნაწლავებით ბაქტერიების ექსკრეციის შემცირების შედეგად).

იშვიათ შემთხვევაში პოსტდიარეული ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის განვითარება შეიძლება სხვა ენტერობაქტერიით იყოს განპირობებული, ძირითადად კი დიზენტერიის შიგელას პირველი ტიპით. VTEC ინფექციის მსგავსად, ჰუს-ის განვითარებას წინ უძღვის სისხლიანი დიარეა, უფრო ხშირია ბავშვებში აღმოცენება და პათოგენეზში მთავარი როლი შიგა ტოქსინის უკავია.

ენტერობაქტერიების გარდა, თრომბოტული მიკროანგიოპათიის განვითარება შეიძლება ასოცირებული იყოს სხვა ბაქტერიებთანაც. კერძოდ, აღწერილია ჰუს-ის განვითარების შემთხვევები სტრეპტოკოკული პნევმონიის შემდგომ. არსებობს მოსაზრება, რომ ეს შეიძლება განპირობებული იყოს S. Pneumonie-ს მიერ პროდუცირებული ნეიროამინიდაზას ტოქსიური მოქმედებით. იგი ახდენს სიალის მჟავას მოცილებას უჯრედების ზედაპირიდან, რის შემდეგადაც სისხლში არსებული IgM ანტისხეულები უკვე თავისუფლად უკავშირდება ე.წ. თომსენ-ფრიდენრაინის ანტიგენებს და იწვევს ენდოთელიუმის დაზიანებას, თრომბოციტების აგრეგაციას, ერითროციტების პოლიაგლუტინაციასა და ჰემოლიზის განვითარებას. ეს სინდრომი ჩვეულებრივ მცირე ასაკის ბავშვებში ვითარდება.

## ვირუსები

აღწერილია თრომბოტული მიკროანგიოპათიის განვითარების შემთხვევები აივით ინფიცირებულ პაციენტებში. ყველაზე ხშირად ეს გართულება გვხვდება ახალგაზრდა მამაკაცებში, დაავადების მძიმე მიმდინარეობისას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში მას წინ არ უძღვის ვირუსით ინფიცირების რაიმე სხვა კლინიკური გამოვლენა. სინდრომი ვითარდება კლასიკური თოპ-ის მსგავსად,

დამახასიათებელია უმძიმესი თრომბოციტოპენია, ცხელება და ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება.

არსებობს მონაცემები, რომ აქტიური C ჰეპატიტი შეიძლება გართულდეს თრომბოტული მიკროანგიოპათიით. ჰუს შეიძლება განვითარდეს კრიოგლობულინემიური ვასკულიტის ფონზე და გაართულოს მისი მიმდინარეობა ან დარჩეს შეუმჩნეველი. აღწერილია ასევე მორეციდივე თთპ-ის განვითარების შემთხვევები ქრონიკული C ჰეპატიტის ფონზე, მათ შორის ზოგჯერ ინტერფერონით მკურნალობის პროცესში.

თირკმლის ტრანსპლანტაციული თრომბოტული მიკროანგიოპათიის განვითარების ძალზე იშვიათ მიზეზს წარმოადგენს პარვოვირუსი B19-ით ან BK-პოლიომავირუსით ინფიცირება.

### იმუნოლოგიური დარღვევები

ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის / თრომბოტულ-თრომბოციტოპენიული პურპურის მქონე პაციენტების სისხლში აღწერილია კომპლექტების დამოკიდებული აუტოანტისხეულების არსებობა, რომლებიც ციტოტოქსიურ ენდოთელურ უჯრედებს წარმოადგენენ. კომპლემენტის და IgG და IgM ანტისხეულები შეიძლება აღმოჩნდეს თირკმლის ბიოფტატის მორფოლოგიური კვლევისასაც. ეს მონაცემები იმუნური კომპლექსების შესაძლო პათოგენეზური როლის სასარგებლოდ მეტყველებენ.

თრომბოტული მიკროანგიოპათიით შეიძლება გართულდეს იმუნური დაავადებები, როგორიცაა სისტემური წითელი მგლურა, პოლიმოზიტი, სკლეროდერმია. შედარებით უკეთესადაა შესწავლილი კავშირი სისტემურ წითელ მგლურასა და ჰემოლიზურ-ურემიულ სინდრომს შორის. ამ უკანასკნელმა შეიძლება დაამძიმოს სისტემური წითელი მგლურას მიმდინარეობა სხვადასხვა თრგანოში ჰიალინური თრომბების გაჩენით. ეს შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს, რამდენადაც ჰეს-ისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა სიმპტომი (მიკროანგიოპათიური ჰემოლიზის გარდა) შეიძლება აღმოცენდეს სისტემური წითელი მგლურას ფარგლებში. უფრო ხშირია თრომბოტული მიკროანგიოპათიის კომპონენტის აღმოჩენა თირკმლის ბიოფტატის ჰისტოლოგიური კვლევისას, რაც მნიშვნელოვანია მკურნალობის სწორი ტაქტიკის განსაზღვრის თვლასასაზრისით.

თრომბოტული მიკროანგიოპათიით სისტემური წითელი მგლურის გართულება უფრო ხშირად გვხვდება ანტიფოსფოლიპიდური სინდრომის არსებობისას. ამ დროს სისხლში ცირკულირებს ფოსფოლიპიდური ანტიგენების საწინააღმდეგოდ მიმართული ანტისხეულები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მგლურას ანტიკოაგულანტი და ანტიკარდიოლიპინი. იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული ანტისხეულები აღმოჩნდება სისტემური წითელი მგლურას სხვა გამოვლინებების გარეშე, საუბრობენ ე.წ. პირველად ანტიფოსფოლიპიდურ სინდრომზე. ეს უკანასკნელი ასევე შეიძლება გართულდეს ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომით.

იშვიათია, მაგრამ დადასტურებულია ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომით პირველადი გლომერულოპათიების გართულების შემთხვევები, მათ შორის პოსტინფექციური გლომერულონეფრიტის, მემბრანოპროლიფერაციული გლომერულონეფრიტის, მემბრანული გლომერულონეფრიტის, მინიმალური ცვლილებების გლომერულონეფრიტის, ფოკალურ-სეგმენტური გლომერულოსკლეროზის დროს.

## მედიკამენტები

პუს/თთპ განვითარების პროცესი შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტების მიღების შედეგად. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ის მედიკამენტები, რომლებიც შესაძლოა იწვევდნენ თრომბოზული მიკროანგიოპათიის განვითარებას.

თრალური ესტროგენ-შემცველი კონტრაცეპტივები
კალცინევრინის ინჰიბიტორები ციკლოსპორინი ტაკროლიმუსი
ციტოტოქსიური პრეპარატები მიტომიცინ-ც 5-ფტორურაცილი ცისპლატინი გემციტაბინი ბლეომიცინი ეპირუბიცინი დეოქსიცოფორმიცინი
ანტიაგრეგანტები ტიკლოპიდინი კლოპიდილი
ქინინი

ცხრ. 1 თრომბოზულ მიკროანგიოპათიასთან ასოცირებული მედიკამენტები

აღწერილია ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის აღმოცენება ესტროგენ-შემცველი ორალური კონტრაცეპტივების გამოყენებისას. მიუხედავად იმისა, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დადასტურებული არ არის, ამგვარი ეპიზოდის შემდეგ რეკომენდებულია მომავალში მათი მიღებისაგან თავის შეკავება.

პუს-ის აღმოცენება ციკლოსპორინით მკურნალობის ფონზე პირველად აღწერილი იქნა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის შემდეგ, რასაც მოყვა ღვიძლისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის შემთხვევები. სინდრომი ჩვეულებრივ ვითარდება ტრანსპლანტაციიდან პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში, როცა წამლის კონცენტრაცია სისხლში მაღალია. პათოლოგიური პროცესი ჩვეულებრივ მხოლოდ თირკმელში მიმდინარეობს.

აღწერილია ამ გართულების განვითარების შემთხვევები მეორე კალცინევრინის ინჰიბიტორის, ტაკროლიმუსის, გამოყენებისასაც, თუმცა ამასთანავე არსებობს მონაცემები, რომ ციკლოსპორინიდან ტაკროლიმუსზე გადასვლა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს თირკმლის ტრანსპლანტაციის გადარჩენის მაჩვენებელს პუს-ის განვითარების შემთხვევაში.

ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი / თრომბოტულ-თრომბოციტოპენიული პურპურა შეიძლება განვითარდეს სიმსივნის საწინააღმდეგო მკურნალობის პროცესში. ნაჩვენებია ასოციაცია ციტოტოქსიურ პრეპარატებთან (მიტომიცინ-ც, 5-ფტორურაცილი, ცისპლატინი, გემციტაბინი, ეპირუბიცინი, ბლეომიცინი, დეოქსიცოფორმიცინი) და სხივურ თერაპიასთან. ამ დროს განვითარებული ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი განსხვავდება სხვა ტიპის თრომბოტული მიკროპათიებისაგან იმით, რომ ის ხშირად ბოლო დოზის გაკეთებიდან რამდენიმე თვის გავლის შემდეგ აღმოცენდება და გამოყენებული მედიკამენტის კუმულაციურ დოზაზეა დამოკიდებული. ეს გართულება მეტად მძიმე პროგნოზით ხასიათდება ძირითადი დაავადების რემისის შემთხვევაშიც კი.

კარდიოვასკულური დაავადებების მკურნალობაში გამოყენებული ორი ანტიაგრეგანტული საშუალება, ტიკლოპიდინი და კლოპიდოროგელი (პლავიქსი) ასოცირებულია ჰუს/თოპ-ის განვითარებასთან. ეს გართულება კლოპიდოროგელის შემთხვევაში ჩვეულებრივ მკურნალობის დაწყებიდან პირველი ორი კვირის განმავლობაში გვხვდება, ტიკლოპიდინის შემთხვევაში – შედარებით გვიან (2-12 კვირა). თრომბოტული მიკროანგიოპათიის განვითარება არ უნდა იყოს დაკავშირებული ამ მედიკამენტების ანტიაგრეგანტულ ეფექტთან და სავარაუდოდ ის იმუნოლოგიური ფაქტორებითაა განპირობებული. ტიკლოპიდინის მიღებისას ჰუს/თოპ გვხვდება ერთ შემთხვევაში ყოველი 1600-4800-იდან, კლოპიდოროგელისათვის სისშირე კიდევ უფრო ნაკლებია.

ჰუს/თოპ აღმოცენება მედიკამენტებს შორის ყველაზე მეტად ქინინის გამოყენებასთანაა ასოცირებული. წარსულში ეს პრეპარატი ფართოდ გამოიყენებოდა კუნთოვანი კრამპების სამკურნალოდ, თუმცა აღნიშნულ გართულებასთან კავშირის გამო ბევრ ქვეყანაში მისი გაყიდვა აიკრძალა. სავარაუდოდ, ქინინი თრომბოტულ მიკროანგიოპათიას ანტიორომბოციტული, ანტიერიოტროციტული და ანტინეიტროფიული ანტისხეულების წარმოქმნის გზით იწვევს.

### სხვა ფაქტორები

ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი შეიძლება ორსულობის ძალზე იშვიათ გართულებას წარმოადგენდეს. ის უფრო ხშირად აღმოცენდება მშობიარობის დროს ან მის შემდეგ ადრეულ პერიოდში, ზოგჯერ აბსოლუტურად ნორმალური ორსულობის ფონზე. საჭიროა ამ პათოლოგიის დიფერენცირება გაცილებით უფრო ხშირი სამეანო გართულებებისაგან, როგორიცაა პრეეკლამფია და HELLP-სინდრომი.

თრომბოტული მიკროანგიოპათიის მორფოლოგიური სურათის განვითარება თირკმელში აღწერილია ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის შემდგომ პერიოდში. ამ შემთხვევაში ერთდროულად მოქმედებს მრავალი მაპროვოცირებელი ფაქტორი, მათ შორის ციკლოსპორინი, ციტოსტატიკები, სხივური თერაპია, ინფექცია. საინტერესოა, რომ თრომბოტული მიკროანგიოპათიის მორფოლოგიური სურათი შეიძლება განვითარდეს ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის შემდგომ აღნიშნული ფაქტორების არარსებობის შემთხვევაშიც კი.


ანალოგიურად, ჰუს/თოპ შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა ონკოლოგიური დაავადებების ფარგლებში, სხვა მაპროვოცირებელი ფაქტორების არარსებობის პირობებშიც კი.

## მემკვიდრული წინასწარგანწყობის ფაქტორები

### *H ფაქტორის დეფიციტი*

არსებობს სარწმუნო მონაცემები, რომ თრომბოტული მიკროანგიოპათიის, კერძოდ ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის, გარკვეული ფორმები კავშირშია სისხლში ე.წ. H ფაქტორის დაქვეითებულ დონესთან/აქტივობასთან. H ფაქტორი ერთ-ერთ ცენტრალურ როლს თამაშობს კომპლემენტის სისტემის რეგულაციაში. ის წარმოიქმნება ღვიძლში, ცირკულირებს პლაზმაში და უკავშირდება სისხლძარღვთა ენდოთელიუმის ანიონურ უბნებს. H ფაქტორი აინტიბირებს კომპლემენტის სისტემის აქტივაციას, კერძოდ, ის წარმოადგენს B ფაქტორის კონკურენტს ახლად წარმოქმნილ კომპლემენტ C3b-სადმი და I ფაქტორის კოფაქტორს C3b-ს დეგრადაციის პროცესში. ამ გზით H ფაქტორი ახდენს როგორც C3 კონვერტაზის გაძლიერებული ფაზის, ასევე კომპლემენტის სისტემის შემდგომი პროდუქტების – ლეიკოტაქტური C5a-ს და მემბრანაზე შეტევის კომპლექსის C5b-C9 წარმოქმნის ინტიბირებას.

#### **რეგულატორები**



#### **სურ.3 კომპლემენტის სისტემის რეგულაცია**

აღწერილია H ფაქტორის ფუნქციის კარგვის გამომწვევი სხვადასხვა მუტაციები. ამავე დროს, ის ფაქტი, რომ H ფაქტორის დეფიციტის მქონე პაციენტებში შეიძლება აღინიშნოს ჰუს-ის ხანგრძლივი რემისია ან ის საერთოდ არ გამოვლინდეს გარკვეულ ასაკამდე, მიუთითებს, რომ აღნიშნული დეფიციტი ჰუს-ისადმი მხოლოდ წინასწარგანწყობას ქმნის და სინდრომის განვითარებისათვის საჭიროა გარკვეული მაპროვოცირებული ფაქტორის არსებობა. სავარაუდოდ, ენდოთელიუმის დაზიანება, რომელიც ხორმალურ პირობებში სპონგიანურად უკუგანვითარდებოდა, H ფაქტორის მიერ სუსტად დაცულ სისხლძარღვებში იწვევს კომპლემენტის აქტივაციას, გასკულურ დაზიანებას და დაავადების სრულ გაშლას.

შესაძლოა აღინიშნოს დაავადების როგორც სპორადული, ასევე ოჯახური შემთხვევები. აღწერილია დამემკვიდრების აუტოსომურ-დომინანტური და რეცესიული ფორმები. დაავადების აღმოცენების ასაკი ვარირებს ნეონატალური პერიოდიდან მოზრდილ ასაკამდე. სავარაუდოდ, ჰომოზიგოტურ პაციენტებში, სისხლში H ფაქტორის განსაკუთრებით დაბალი დონით, დაავადება აღრეულ ასაკში, ხშირად სიცოცხლის პირველ თვეებში, ვითარდება და სახეზეა კომპლექსური C3-ის მკვეთრი დეფიციტი. ჰეტეროზიგოტების აღმოჩენა უფრო რთულია, რამდენადაც ჰიპოკომპლექსური შეიძლება გამოხატული არ იყოს. მათში H ფაქტორის კონცენტრაცია დაახლოებით ნორმის 50%-ს შეადგენს. შეიძლება გვხვდებოდეს ნორმალური რაოდენობის, მაგრამ უფრო ჰიპოკომპლექსური H ფაქტორი.

### ფონ ვილებრანდის ფაქტორის პროტეზას დეფიციტი

ფონ ვილებრანდის ფაქტორს არსებითი მნიშვნელობა აქვს თრომბოციტების ნორმალური აგრეგაციის პროცესში. ის სინთეზირდება ენდოთელური უჯრედების მიერ დიმერების სახით, რომლებიც განიცდიან პოლიმერიზაციას და მულტიმერებს წარმოქმნიან. ფონ ვილებრანდის ფაქტორის ამ მულტიმერების დაშლა ხდება სპეციფიური პროტეზის, ე.წ. ADAMTS13-ის მიერ. ამ უკანასკნელის დეფიციტმა შესაძლოა ფონ ვილებრანდის ფაქტორის მულტიმერების აკუმულაცია, თრომბოციტების აგრეგაცია და თრომბოტული მიკროანგიოპათიის განვითარება გამოიწვიოს.

მას შემდეგ, რაც დადგენილი იქნა ADAMTS13-ის როლი თრომბოტული მიკროანგიოპათიის განვითარების მექანიზმში, გარკვეულწილად განმტიკცდა მოსაზრება ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომისა და თრომბოტულ-თრომბოციტოპენიური ჰერპურის განსხვავებული პათოგენეზის შესახებ. კერძოდ, არსებობს მონაცემები, რომ ADAMTS13-ის გამოხატული დეფიციტი ასოცირებულია თოპ-სთან, ანუ კლინიკურად ცხელებითა და წინა პლანზე ნერვული სისტემის დაზიანებით მიმდინარე სინდრომთან, ხოლო დიარეასთან ასოცირებული ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის (ე.წ. ტიპიური ჰერპურის) პათოგენეზში აღნიშნული პროტეზა როლს არ თამაშობს. თუმცა საბოლოოდ ჯერ კიდევ დაუდგენელია, შეიძლება თუ არა ADAMTS13-ის დონის გამოყენება თოპ-სა და ჰერპური შორის დიფერენციული დიაგნოზის გასატარებლად.

პაციენტთა გარკვეულ ჯგუფში აღინიშნება ADAMTS13-ის თანდაყოლილი არარსებობა ან უფრო ჰიპოკომპლექსური. მათ უმრავლესობაში კლინიკურად მორეციდივე თოთ ვითარდება. თოპ-ის პირველი ეპიზოდი უფრო ხშირად ასაკში აღმოცენდება, თუმცა შესაძლოა მოზრდილ ასაკამდე კლინიკურად არ გამოვლინდეს. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ADAMTS13-ის დეფიციტი ყოველთვის საკმარისი არ არის დაავადების განვითარებისათვის და საჭიროა გარკვეული მაკროვოლცირებელი ფაქტორის არსებობა.


პაციენტთა მეორე ჯგუფში ADAMTS13-ის დაქვეითებული აქტივობა შეიძლება გარკვეული ინკიბიტორით იყოს გამოწვეული. ასეთი პაციენტების პლაზმაში დაფიქსირებულია ADAMTS13-ის საწინააღმდეგო IgG ანტისეეულის არსებობა. მისი წარმოქმნის მექანიზმი უცნობია. საინტერესოა, რომ მსგავსი ანტისეეული აღმოჩნდება ტიკლოპიდინითა და კლოპიდოროგელით პროვოცირებული, ასევე აივ-ასოცირებული თოპ-ის შემთხვევაში.

## კლინიკური სურათი და დიაგნოსტიკა

თრომბოტული მიკროანგიოპათიის ძირითადი კომპონენტებია მიკროაგნიოპათიური ჰემოლიზური ანემია, თრომბოციტოპენია და სამიზნე ორგანოს სისხლძარღვებში მიკროტორმბების გაჩენა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის შემთხვევაში პირველ პლანზეა თირკმლების, ხოლო თრომბოტულ-თრომბოციტოპენიური პურპურის შემთხვევაში – ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიენება.

მიკროანგიოპათიური ჰემოლიზური ანემია

სისხლძარღვებიდა ჰემოლიზური ანემია ერითროციტების ფრაგმენტაციით თრომბოტული მიკროანგიოპათიის ყველაზე უფრო სპეციფიური კომპონენტია. ჰემოლიზური ანემიის ამ ფორმისათვის დამახასიათებელია კუმბსის ტესტის ნეგატივობა და ფრაგმენტირებული ერითროციტების (ე.წ. შისტოციტები) წარმოქმნა.



სურ.4 სისხლის ნაცხი, რომელზეც კარგად ჩანს შისტოციტების არსებობა.

თრომბოტული მიკროანგიოპათიის დროს სახეზეა ჰემოლიზის ისეთი ტიპიური ლაბორატორიული მონაცემები, როგორიცაა ჰიპერბილირუბინემია, სისხლში ჰაპტოგლობინის კონცენტრაციის დაჭვებითება და ლაქტატდეპიდროგენაზას კონცენტრაციის მომატება. ეს უკანასკნელი მატულობს როგორც ჰემოლიზის, ასევე ქსოვილთა იშემიის შედეგად და მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს არა მხოლოდ დაავადების დიაგნოსტიკის, არამედ ასევე მისი მკურნალობის მონიტორინგის პროცესში.

## თრომბოციტოპენია

თრომბოციტოპენია პუს/თთპ-ის მეორე უმნიშვნელოვანეს სადიაგნოსტიკო კრიტერიუმს წარმოადგენს. ის ვითარდება თრომბოციტების აქტივაციისა და მოხმარების შედეგად. ჩვეულებრივ, თრომბოციტოპენია უფრო კრიტიკულია თთპ-ის

შემთხვევაში პუს-თან შედარებით. კოაგულაციის ტესტები ნორმალურია - პროთომბინისა (PT) და პარციალური თრომბოპლასტინის (PTT) დრო ნორმალურიან შემცირებულია, ხოლო ფიბრინოგენის კონცენტრაცია დაქვეითებულია არ არის. ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ადვილია დიფერენცირება დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედედების სინდრომისაგან.

### თირკმლების დაზიანება

თრომბოტული მიკროანგიოპათიის დროს განვითარებული თირკმლების მწვავე უკმარისობა ხასიათდება ოლიგო-ანურიის სწრაფი აღმოცენებით, თუმცა შესაძლოა თირკმლების უკმარისობის პოლიურიული ვარიანტის განვითარებაც, ასევე კრეატინინისა და შარდოვანის მატება ნორმალური დიურეზის ფონზე. ხშირია მიკროჰემატურია, შეიძლება შეგვხვდეს წითელი ფერის შარდიც მაკროჰემატურიის ან ჰემოგლობინურიის შედეგად. შეიძლება აღინიშნებოდეს სხვადასხვა ხარისხის პროტეინურია, ძირითადად არაუმეტეს 1-2 გ-ისა 24 საათში. ხშირია არტერიული ჰიპერტენზიის აღმოცენება. მის პათოგენეზში მონაწილეობს როგორც ჰიპერჰიდრატაცია თირკმლების უკმარისობის შედეგად, ასევე რენინ-ანგიოტენზინის სისტემის გააქტივება.

ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის გადატანის შემდეგ თირკმლის ფუნქცია უმეტეს შემთხვევაში აღდგება. რეკონვალესცენციის პერიოდი შეიძლება საკმაოდ დიდხანს, რამდენიმე თვესაც კი გაგრძელდეს. თირკმლების ქრონიკული უკმარისობა (განსაზღვრული, როგორც კრეატინინის კლირენსი  $< 40$  მლ/წთ დიაგნოზის დასმიდან ერთი წლის შემდეგ) პაციენტების დაახლოებით 25%-ს უვითარდება.

### ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება

პუს-თოპ-ის შემთხვევათა უმრავლესობაში გამოხატულია ნეკროლოგიური სიმპტომები: დაღლილობა, გულისრევა, თავის ტკივილი, ძილიანობა, სისუსტე, ჰალუცინაციები, კრუნჩევები, კომა, ცერებრული ჰემორაგია, სიკვდილი. ისინი შეიძლება იყოს სხვადასხვა სიმძიმის. მათი განვითარების მიზეზებს მიეკუთვნება თირკმლების მწვავე უკმარისობით განპირობებული ურემია, ჰიპერჰიდრატაცია და ჰიპერტენზია, ანემია, მძიმე შემთხვევებში – თავის ტვინის თრომბოტული მიკროანგიოპათია (თოპ-ის ფარგლებში).

### სხვა თრგანოების დაზიანება

თრომბოტული მიკროანგიოპათიის დროს სხვა თრგანოების სპეციფიური პათოლოგიები იშვიათია. მათ შორის ყველაზე ხშირად გვხვდება გულის დაზიანება. თირკმლების მწვავე უკმარისობით განპირობებული ისეთი მიზეზების გარდა, როგორიცაა ჰიპერჰიდრატაცია, ჰიპერტენზია და ურემია, აღწერილია მიკროთრომბების გაჩენა და ჰემორაგიები კორონორული სისხლძარღვებში, მიოკარდიუმში, გულის გამტარ სისტემაში. ამან შეიძლება ისეთი გართულებების გამოიწვიოს, როგორიცაა არიტმიები, უკვარი სიკვდილი, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის უკმარისობა.

თრომბოტული მიკროანგიოპათიის განვითარებამ პანკრეასში შეიძლება გამოიწვიოს მისი ეგზოკრინული ფუნქციის უკმარისობა ან ინსულინ-დამოკიდებული შაქრიანი დიაბეტის განვითარება.

## ცხელება

ცხელება უფრო მეტად თრომბოტულ-თრომბოციტოპენიური პურპურისათვის დამახასიათებელ სიმპტომად ითვლება ჰემოლიზურ-ურემიულ სინდრომთან შედარებით. ბოლოდროინდელი მონაცემების მიხედვით, მისი სიხშირე არცთუ ისე მაღალია. ჰექტიური ცხელებისა და შემცივნების შემთხვევაში საჭიროა სხვა, პარალელური მიზეზის ძიება.

სადიაგნოსტიკო ტესტები ჰქს/თთპ სხვადასხვა ფორმის შემთხვევაში

დიარეასთან ასოცირებული ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის შემთხვევაში გამომწვევის იდენტიფიკაციის მიზნით შეიძლება განავლის დათესვა VTEC-ის აღმოსაჩენად, ასევე უშუალოდ ციტოტოქსინის არსებობის გამოკვლევა სპეციფიური ანტისხეულით.

პნევმონიის სტრეპტოკოით გამოწვეული ჰქს-ისათვის დამახასიათებელია ე.წ. პოლიაგლუტინაციის რეაქცია, რაც გულისხმობს მოულედნელ ლაბორატორიულ მონაცემს, როდესაც სისხლის აგლუტინაცია *in vitro* ხდება საკუთარი ჯგუფის შრატან შერევისას. თრომბოტული მიკროანგიოპათიის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, კუმბისის ტესტი ამ დროს ხშირად პოზიტიურია.

სისხლში მუდმივად დაქვეითებული C3 კომპლემენტი კომპლემენტის სისტემის რეგულაციის დარღვევაზე მიუთითებს. ჰიპოკომპლემენტების შემთხვევაში საჭიროა სისტემური წითელი მგლურასა და მემბრანულ-პროლიფერაციული გლომერულონეფრიტის გამორიცხვა. აღსანიშნავია, რომ ნორმალური C3 არ გამორიცხავს H ფაქტორის დეფიციტს. დღესდღეობით შესაძლებელია თავად H ფაქტორის განსაზღვრაც სისხლში.

ფონ ვილებრანდის ფაქტორის პროტეზას დეფიციტის შემთხვევაში სისხლის ცილების ელექტროფორეზით შესაძლებელია ფონ ვილებრანდის ფაქტორის მულტიმერების აღმოჩენა.

დღეისათვის უკვე არსებობს სისხლში უშუალოდ ADAMTS13-ის კონცენტრაციის განსაზღვრის მეთოდები.

თრომბოტული მიკროანგიოპათიის ოჯახური, ასევე დაუდგენელი ეტიოლოგიის შემთხვევებში მნიშვნელოვანია გენეტიკური ანალიზის ჩატარება.

## პათოპისტოლოგია


ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის დროს თირკმლის ქსოვილის ჰისტოლოგიური შესწავლისას განარჩევენ სამ პათოლოგიურ ფორმას: გლომერულური თრომბოტული მიკროანგიოპათია, არტერიული თრომბოტული მიკროანგიოპათია და კორტიკალური ნეკროზი.

გლომერულური ორომბოტული მიკროანგიოპათია გლომერულის კაპილარული კედლის დაზიანებას გულისხმობს. სინათლის მიკროსკოპით აღინიშნება კაპილარის კედლის გასქელება. ბავშვებში განვითარებული და ჰუსისათვის დამახასიათებელია გლომერულების გადიდება და კაპილარებში ერითროციტებისა და ორომბოციტულ-ფიბრინული ორომბების ჩაღავება. ეს შეიძლება გავრცელდეს პროქსიმალურად აფერენტულ არტერიოლაში.




სურ. 5

ელექტრონული მიკროსკოპით გამოხატულია ენდოთელიუმის შეშუპება და მისი სეპარაცია გლომერულის ბაზალური მემბრანისაგან ელექტრონულად გამჭვირვალე მასალის და ზოგჯერ ფიბრინის დეპოზიტებით.




სურ. 6

გ.წ. დ- ჰუსისათვის უფრო მეტად დამახასიათებელი გლომერულური ორომბოტული მიკროანგიოპათიის მეორე პათოპისტოლოგიური ვარიანტი, რომელიც მოიცავს მეზანგიური უჯრედების შეშუპებას და ზოგ შემთხვევაში მეზანგიოლიზს. სუბენდოთელურ სივრცეში მეზანგიუმის ინტერპოზიცია კაპილარების ორმაგი კონტურის წარმოქმნას განაპირობებს.



სურ. 7

არტერიული ორომბოტული მიკროანგიოპათია მოიცავს არტერიოლებს და წილაკთაშორის, მაგრამ არა წილთაშორის არტერიებს. დასაწყისში შესაძლოა ფიბრინის აღმოჩენა სუბენდოთელურ სივრცეში და სანათურში. მომდევნო ეტაპზე გვხვდება ინტიმის პროლიფერაცია სანათურის შევიწროვებით.



სურ.8

ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის დროს შეიძლება შეგხვდეს სხვადასხვა სიმძიმით გამოხატული კორტიკალური ნეკროზი. ამის მთავარ მიზეზად შეიძლება ლოკალური მიკროცირკულაციის დარღვევის შედეგად განვითარებული იშემიური დაზიანება ჩაითვალოს. შეიძლება როლს თამაშობდეს ვეროციტოტოქსინის პირდაპირი ტოქსიური ზემოქმედება კორტიკალურ ეპითელურ უჯრედებზე.



სურ. 9

## მკურნალობა

### ზოგადი დონისძიებები

ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის / თრომბოტულ-თრომბოციტოპენიური პურპურის მკურნალობა მოიცავს სიმპტომურ და სპეციფიურ მკურნალობას. სიმპტომური თერაპია გულისხმოს ზოგად თერაპიული დონისძიებების გატარებას. მნიშვნელოვანია ვოლემიური სტატუსის, ელექტროლიტური ბალანსისა და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის კონტროლი და კორეგირება. პაციენტი შეიძლება იმყოფებოდეს ჰიპოვოლემიურ (დიარეის და/ან დებინების შედეგად), ნორმოვოლემიურ ან ჰიპერვოლემიურ (თირკმლების უკმარისობის შედეგად) მდგომარეობაში. ჰიპოვოლემიის შემთხვევაში საჭიროა სითხეების ტრანსფუზია, ჰიპერვოლემიის დროს კი შეიძლება დიურეზის გაძლიერების მცდელობა ფუროსემიდით, მისი უეფექტობის შემთხვევაში კი ნაჩვენებია ულტრაფილტრაცია. დიალიზის ჩვენება განისაზღვრება ზოგადად თირკმლების მწვავე უკმარისობის დროს დიალიზის დაწყების კრიტერიუმების მიხედვით.

ჰემოლიზის გაძლიერების, ჰიპერკალემიის და ჰიპერვოლემიის განვითარების რისკის გამო ჰემოტრანსფუზია ნაჩვენებია მხოლოდ მძიმე ანემის (ჰემოგლობინი < 6-8 გ/დლ) განვითარების შემთხვევაში. თრომბოციტული მასის გადასხმა უნდა მოხდეს მხოლოდ მკაცრი ჩვენებით, აქტიური სისხლდენის მქონე პაციენტებში, რადგან მან შეიძლება დაზიანებულ ორგანოში თრომბოტული პროცესის გაუარესება გამოიწვიოს.

ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის დროს ხშირია მძიმე ჰიპერტენზია, განსაკუთრებით და-ჰეს-ის შემთხვევაში. მის პათოგენეზში რენინ-ანგიოტენზინის სისტემის როლიდან გამომდინარე, არჩევის პრეპარატებად შეიძლება ანგიოტენზის გარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბიტორები და ანგიოტენზინის რეცეპტორების ბლოკერები ჩაითვალოს, თუმცა არსებობს ჰიპერკალემიის განვითარების და თირკმლის პერფუზიის გაუარესების გარკვეული რისკი.

## სპეციფიური სტრატეგიები

### პლაზმაფერეზი

პლაზმაფერეზის ცენტრალური ადგილი უკავია თრომბოტული მიკროანგიოპათიების მკურნალობაში. ამ მეოთხის დანერგვის შემდგომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დაავადების პროგნოზი და შემცირდა ლეტალობა. როგორც ზემოთ იყო აღწერილი, პემოლიზურ-ურემიული სინდრომის / თრომბოტულ-თრომბოციტოპენიური პურპურის სხვადასხვა ფორმას განსხვავებული მექანიზმი უდევს საფუძვლად, რაც მნიშვნელოვანია მკურნალობის ლოგიკისა და სქემის შემუშავების თვალსაზრისით.

პლაზმაფერეზის დადებითი ეფექტი ADAMTS13-ის დეფიციტის შედეგად განვითარებული თრომბოტული მიკროანგიოპათიის მკურნალობაში შეიძლება რამდენიმე ფაქტორით იყოს განპირობებული: დეფიციტური პროტეაზის მიწოდება, ფონ ვილებრანდის ფაქტორის მულტიმერების მოცილება, პროტეაზას საწინააღმდეგო აუტოანტისეულების მოცილება (მათი არსებობის შემთხვევაში). რემისიის მისაღწევად ჩვეულებრივ საჭიროა პლაზმაფერეზის დაახლოებით 7-16 კოგელდდიური სეანსი, თითო ჯერზე პლაზმის ერთი მოცულობის ჩანაცვლებით. როგორც წესი, პირველად უმჯობესდება ნევროლოგიური სიმპტომები და ლაქტატდეპიდროგენაზას მაჩვენებელი, შემდეგ კი მატულობს თრომბოციტების რაოდენობა. თრომბოციტოპენიის კორეგირების შემდეგ პლაზმაფერეზი წყდება ან იზრდება ინგერვალი სეანსებს შორის. ADAMTS13-ის თანდაყოლილი უკმარისობის შემთხვევაში რემისიის შესანარჩუნებლად ხშირად საჭიროა პლაზმის განმეორებითი ინფუზიები 2-4 კვირიანი ინგერვალებით.

პლაზმაფერეზი შესაძლოა ეფექტური იყოს თრომბოტული მიკროანგიოპათიის იმ ფორმების დროსაც, რომლებიც არ არის დაკავშირებული ADAMTS13-ის დეფიციტთან. კერძოდ, პლაზმაფერეზის დროს ხდება H<sub>2</sub> ფაქტორის ჩანაცვლება, რომლის დეფიციტიც ჰქონის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პათოფიზიოლოგიური ფაქტორია. ზოგადად, მოზრდილთა ასაკში რეკომენდებულია პლაზმაფერეზის დაწყება დაუდგენელი ეტიოლოგიის ჰქონის ნებისმიერ შემთხვევაში. ამისაგან განსხვავებით, პლაზმაფერეზი ნაჩვენები არ არის ბავშვებში დიარესთან ასოცირებული, ე.წ. ტიპიური ჰქონის შემთხვევაში. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებით მძიმე მიმდინარეობის ფორმები. პლაზმაფერეზი უკუნაჩვენებია სტრეპტოკოკულ პნევმონიასთან ასოცირებული ჰქონის შემთხვევაში, რამდენადაც გადასხმულ პლაზმაში არსებულმა ანტისეულებმა შეიძლება პოლიაგლუტინაციის და პემოლიზურ გაუარესება გამოიწვიოს.

ნაკლებად არის გარკვეული პლაზმაფერეზის როლი მედიკამენტებთან ასოცირებული თრომბოტული მიკროანგიოპათიის შემთხვევებში. ონკოლოგიური დაავადების მკურნალობის პროცესში ჩატარებული ქიმიოთერაპიის შედეგად განვითარებული თრომბოტული მიკროანგიოპათიის დროს პლაზმაფერეზი არაეფექტურად ითვლება. ამისგან საპირისპიროდ, ქინინის შემთხვევაში დაავადება მწვავე მიმდინარეობით ხასიათდება და პლაზმაფერეზის დაწყება აუცილებელია.

### იმუნოსუპრესანტები

იმუნოსუპრესანტების გამოყენება თრომბოტული მიკროანგიოპათიის მკურნალობაში ეფუძნება იმ ფაქტს, რომ დაავადების განვითარებაში რიგ შემთხვევაში მონაწილეობენ აუტოანტისეულები, კერძოდ, მიმართული ADAMTS13-ის საწინააღმდეგოდ. იქიდან გამომდინარე, რომ ამ უკანასკნელთა არსებობის დადგენა კლინიკურ პრაქტიკაში

ხშირად შეუძლებელია, გაურკვეველი ეტიოლოგიის პუს/თთა შემთხვევაში (ანამნეზში სისხლიანი დიარეის, მაპროციორებელი მედიკამენტის ან ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის არარსებობა) გამართლებულია მკურნალობაში სტეროიდის ჩართვა. არსებობს დოზირების სხვადასხვა ვარიანტები - 1 მგ/კგ პრედნიზოლონი დღეში პერორალურად, 125 მგ მეთილპრედნიზოლონი ორჯერ დღეში ინტრავენურად და სხვ.

იმ პაციენტებში, რომლებსაც აღენიშნებათ დაავადების განსაკუთრებით მძიმე მიმდინარეობა უფრო მეტად გამოხატული ნევროლოგიური დარღვევებით, რეფრაქტურობა პლაზმაფერეზისა და სტეროიდის მიმართ ან მორეციდივე მიმდინარეობა, შესაძლოა ეფექტური იყოს უფრო ინტენსიური იმუნოსუპრესიის გამოყენება. არსებობს გარკვეული მონაცემები თრომბოტული მიკროანგიოპათიის მკურნალობაში CD20-ის საწინააღმდეგო ანტისხეულის, რიტუქსიმაბის გამოყენების შესახებ ციკლოფოსფამიდთან ერთად ან მის გარეშე. ის ინიშნება პლაზმაფერეზთან ერთად, დოზით 375 მგ/ჰ<sup>2</sup> კვირაში ერთხელ, მინიმუმ 4 დოზა.

ციკლოსპორინი ჩვეულებრივ არ გამოიყენება თრომბოტული მიკროანგიოპათიის მკურნალობაში იქიდან გამომდინარე, რომ მას თავად შეუძლია პუს-ის განვითარების პროცესირება. მიუხედავად ამისა, აღწერილია მისი ეფექტური გამოყენების შემთხვევები, კერძოდ პლაზმაფერეზისადმი რეზისტენტულ და მორეციდივე თრომბოტული მიკროანგიოპათიის დროს. ციკლოსპორინმა შესაძლოა უზრუნველყოს უფრო სტაბილური რემისიის მიღწევა სტეროიდთან შედარებით.

არსებობს გარკვეული მონაცემები თრომბოტული მიკროანგიოპათიის მკურნალობაში ინტრავენური იმუნოგლობულინის ჩართვის შესახებ. მისი ეფექტურობა შეიძლება განპირობებული იყოს ვეროციტოტოქსინის გამანეიტრალებელი ანტისხეულების არსებობით (დ+ პუს-ის შემთხვევაში) და/ან ნორმალური IgG-ის მიწოდებით, რომელიც უკავშირდება და აინკიბირებს თრობმოციტების აგრეგაციის ხელშემწეობ ცილას.

## დაავადების რეციდივი თირკმლის ტრანსპლანტაციაში

სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის რეციდივის სიხშირე თირკმლის ტრანსპლანტაციაში 25-50%-ს შორის მერყეობს. რეციდივის რისკი დიდად დამოკიდებული პირველადი დაავადების ეტიოლოგიაზე: დიარეასთან ასოცირებული პუს-ის შემთხვევაში რეციდივი ძალზე იშვიათია, ხოლო ოჯახური შემთხვევების დროს ის პაციენტთა უმრავლესობაში ვითარდება. პუს-ის რეციდივის რისკის ფაქტორებს მიეკუთვნება: გვიან ასაკში აღმოცენება, მოკლე დრო დაავადების დაწყებასა და თირკმლების ტერმინალური უცმარისობის განვითარებას შორის, ცოცხალი დონორი, კალცინევრინის ინკიბიტორის გამოყენება.

თრომბოტული მიკროანგიოპათიის რეციდივის პრევენციისათვის შეიძლება რეკომენდებული იქნას დაბალი დოზით ასპირინი და დიპირიდამოლი, ციკლოსპორინის ფრთხილად გამოყენება. განვითარებული რეციდივის შემთხვევაში უნდა განახევრდეს ციკლოსპორინის დოზა და დაწყებული იქნას პლაზმაფერეზი.

თირკმლის ტრანსპლანტაციაში *de novo* პუს-ის განვითარება ძალზე იშვიათია და ის შეიძლება შემდეგ ფაქტორებით იყოს პროცესირებული: ციკლოსპორინი, ტაკროლიმუსი (ნაკლებად), ციკლოსპორინისა და სიროლიმუსის კომბინაცია, OKT3 (მაღალი დოზა), ვალაციკლოვირი (მაღალი დოზა), სხვადასხვა ვირუსები (აივ, პარვოვირუსი, პოლიომავირუსი, შესაძლოა ციტომეგალოვირუსი და სხვ).

## შემთხვევის განხილვა: საშარდე გზების ინფექციის ფონზე განვითარებული თრომბოტული მიკროანგიოპათია

Cristina Rollino

ნეფროლოგიური განყოფილება, ს.გ. ბოსკოს პოსპიტალი, ტურინი, იტალია

1999 წლის სექტემბერს სტაციონარში მოთავსდა 84 წლის ქალბატონი ჰემიკოლექტომიის ჩასატარებლად დიაგნოზით: სიგმოიდური ნაწლავის კარცინომა. თირკმლების ფუნქცია იმ პერიოდისათვის იყო ნორმის ფარგლებში (შრატის კრეატინინი 0,6 მგ/დლ, გვს 82 მლ/წთ). 1999 წლის 13 დეკემბერს პაციენტი კვლავ მოხვდა სტაციონარში, ამჯერად ცხელების ( $38^{\circ}\text{C}$ ) და მარჯვენა ფერდის მიღამოში ძლიერი ტკივილის გამო. 15 დეკემბერს ქალბატონი გადაყვანილ იქნა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. ობიექტურად: არტერიული წნევა 130/80 მმ ვწყ.სვ. პულსი 95/წთ, სუნთქვის სიხშირე 18/წთ, სატურაცია 98%, ტემპერატურა 39.5°C. ლაბორატორიული გამოკვლევები: შრატის კრეატინინი 4.8 მგ/დლ, ჰემოგლობინი 8.0 გ/დლ, ლეიკოციტები 24400/მმ<sup>3</sup>, თრომბოციტები 73000/მმ<sup>3</sup>, ლაქტატდეპიდროგენაზა 1935 ე/ლ, ასტ 95ე/ლ, ალტ 93ე/ლ.

მომდევნო დღეებში თირკმლების ფუნქციის გაურესების გამო (კრეატინინი 6.5 მგ/დლ, არტერიული წნევა 170/90 მმ ვწყ.სვ.) პაციენტი გადაყვანილ იქნა ნეფროლოგიურ განყოფილებაში. ამ პერიოდისათვის ლაბორატორიული გამოკვლევებით გამოვლინდა: კრეატინინი 7.4 მგ/დლ, კალიუმი 6.2 მმოლ/ლ, ნატრიუმი 134.0 მმოლ/ლ, საერთო კალციუმი 7.4 მგ/დლ, ჰემოგლობინი 7.7 გ/დლ, თრომბოციტები 40 000/მმ<sup>3</sup>, ლეიკოციტები 24 000/მმ<sup>3</sup>, INR 0.9, aPTT 36'', D-დიმერები 9.5 მკგ/მლ, ანტითრომბინ-III 76%, საერთო ცილა 5 გ/დლ, ალბუმინი 1.9 გ/დლ, გლუკოზა 86 მგ/დლ, ასტ 132 იე/ლ, ალტ 52 იე/ლ, ტუტე ფოსფატაზა 186 იე/ლ, ა-GT 38 იუ/ლ, LDH 900 იუ/ლ, კრეატინფოსფოკონაზა 43 იუ/ლ, ბილირუბინი 0.9 მგ/დლ, CRP 36.0 მგ/დლ, ჰაპტოგლობინი 5.0 მგ/დლ (ნორმა 30-200 მგ/დლ). შისტოციტები არ იქნა ნანახი. მონოკლონური კომპონენტი შრატსა და შარდში არ იქნა აღმოჩენილი. შარდში ცილა 12 გ/24სთ (უპირატესად ტუბულური წარმოშობის), მხედველობის არეში 8-10 ლეიკოციტი და 10-15 ერითროციტი.

მუცელის ღრუს სონოგრაფიული კვლევით თირკმლები ნორმალური ზომის, მარჯვნივ ქერქვანი შრე ჰიპერქოგენური და პატარა პარაპიელური ლოკალიზაციის ცისტა; მარცხენა თირკმელში 4 სმ დიამეტრის ქერქვანი შრის ჰიპერქოგენური უბანი. სხვა თრგანოების მხრივ პათოლოგია არ აღინიშნებოდა. გულმკერდის რენტგენოგრაფია პათოლოგიის გარეშე.

### კითხვა 1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დიაგნოზია სავარაუდო:

- მწვავე პიელონეფრიტი
- ვასკულიტი ან სწრაფად პროგრესირებადი გლომერულონეფრიტი
- მწვავე ტუბულური ნეკროზი
- ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი
- ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

შარდის მიკრობიოლოგიური კვლევით გამოვლენილ იქნა Enterococcus faecalis.

ინფექცია შარდში, ცხელება და ფერდის ტკივილი საშარდე გზების ინფექციაზე გვაფიქრებინებს. თუმცა ბოლომდე ნათელი არ იყო, საქმე ეხებოდა მწვავე პიელონეფრიტს თუ ბაქტერიული ინფილტრაციით გამოწვეულ მწვავე ტუბულონეტერსტიციურ ნეფრიტს.

მკურნალობა დაწყებულ იქნა ცეფრტიაქსონით 2,0გ დღეში, ხოლო 5 დღეში გაგრძელდა ანტიბიოტიკოგრამის მიხედვით ამოქსაცილინ-კლავულანატიო. სეროლოგიური გამოკვლევებით ANCA, ANA, anti-DNA, Ag-HBs, HBs და HBc ანტისენტები, HCV, HIV იყო უარყოფითი, C3 და C4 კომპლემენტი ნორმის ფარგლებში, კრიოგლობულინები აღმოჩენილი არ იქნა.

**კითხვა 2. დაგეგმავდით თუ არა კომპიუტერულ ტომოგრაფიას აღწერილ შემთხვევაში:**

- ა. კი
- ბ. არა

**კითხვა 3. შეიძლება თუ არა მოცემული კლინიკური სურათი შეფასდეს, როგორც სეფსისი?**

- ა. კი
- ბ. არა

**კითხვა 4. შეიძლება თუ არა არსებული თრომბოციტოპენია აიხსნას ინფექციით?**

- ა. კი
- ბ. არა


ცენტრალური ვენური კაოეტერის ჩადგმის შემდეგ პაციენტი გადაყვანილ იქნა პემოდიალიზით მკურნალობაზე. დაიგეგმა თირკმლის ბიოფსია, რომელიც ჩატარდა ინფექციის ჩაქრობისა და დიალიზით მკურნალობის ფონზე თრომბოციტების რაოდენობის გაზრდის შემდეგ.

**კითხვა 5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს აღნიშნულ შემთხვევაში თირკმლის ბიოფსიის ჩატარების მთავარ ჩვენებას?**

- ა. თრომბოციტოპენია
- ბ. თრომბოციტების დისფუნქცია
- გ. ანემია
- დ. თირკმლების უკმარისობა
- ე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

თირკმლის ქსოვილის პისტოლოგიური კვლევის შედეგი: 7 გლომერულიდან 2-ში ბაზალური მემბრანის კოლაფსი, დანრჩენ 5-ში კაპილარების მარყუები დილატირებული და სანათურში თრომბები. ნანახი იქნა ფიბრინოიდული ნეკროზის უბნები. ენდოთელიუმი ალაგ-ალაგ დანეკროზებული. პრე-გლომერულური არტერიოლების ოკლუზია თრომბებით. ასევე ნანახი იქნა ორი ნახევარმოვარე. ინტერსტიციუმი შეშუპებული და ინფილტრირებული მრავალრიცხოვანი ანთებითი უჯრედებით, ზოგიერთ მილაკში ნეკროზული ეპითელური უჯრედები.

პატოპათოლოგიური დიაგნოზი: თრომბოტული მიკროანგიოპათია; მწვავე მილაკვანი ნეკროზი (სეფსის ფონზე მეორადად განვითარებული).



**სურ.1.** ტუბულების ნეკროზი; ერთ-ერთ სისხლძარღვში არის ფიბრინული თრომბი;  
გლომერულები შეგუბებულია.

**კითხვა 6. რომელი ინფექცია შეიძლება იყოს ასოცირებული თრომბოტულ  
მიკროანგიოპათიასთან?**

- ა. Escherichia coli
- ბ. Streptococcus pneumoniae
- გ. ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ)
- დ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

**კითხვა 7. შესაძლებელია პაციენტის კლინიკური მდგომარეობა შეფასდეს,  
როგორც ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი?**

- ა. კი
- ბ. არა

ყველა კლინიკური მაჩვენებელი გაუმჯობესდა და პაციენტი ერთი თვის შემდეგ გაეწერა სტაციონარიდან თირკმლის გაუმჯობესებული ფუნქციით (კრეატინინი 2,7 მგ/დლ), ინფექციის პარამეტრების, თრომბოციტებისა და ლეიკოციტების ნორმალიზაციით.

**პასუხები იხ. 44-ე გვერდზე**

<http://www.ndt-educational.org/casestudies/rollinocase3.asp>

## ნეფროლოგიური სიახლეების მოკლე ანონსი

### პოდოციტურია, როგორც პრეეკლამფის მარკერი

პრეეკლამფისა სასიათდება ჰიპერტენზიისა და პროტეინურიის აღმოცენებით ოცი კვირის ორსულობის შემდეგ. პრეეკლამფისის პათოგენეზში წამყვან ფაქტორად ენდოთელური დისფუნქცია ითვლება, ხოლო პოდოციტების როლს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. Garovic *et al.* მიერ გამოთქმული იქნა მოსაზრება, რომ პოდოციტების მოხვედრა შარდში (პოდოციტურია) შეიძლება პრეეკლამფის დროს არსებულ პროტეინურიას ედოს საფუძვლად.

ჩატარდა დაკვირვება 67 ორსულზე, მათ შორის 33-ს ქონდა პრეეკლამფისა და 11-ს HELLP (ჰემოლიზი, ჰიპერტრანსამინაზემია, თრომბოციტოპენია) სინდრომი - პრეეკლამფისის მძიმე ვარიანტი. მშობიარობის შემდეგ გაისინჯა 31 ქალის შარდი პოდოციტურ პროტეინებზე - პოდოცინი, პოდოცალიქსინი, ნეფრინი და სინაპტოპოდინი. მათგან ყველაზე ზუსტი სადიაგნოსტიკო მარკერი იყო პოდოცინი - ის აღმოჩნდა პრეეკლამფისა / HELLP მქონე თხეტმეტივე პაციენტის, ხოლო 16 ჯანმრთელი ორსულთაობან არც ერთის შარდში. ამასთან, პოდოციტურიის სიმძიმე (განსაზღვრული პოდოცინის კონცენტრაციის მიხედვით) სარწმუნო კავშირში იყო პროტეინურიის სიმძიმესთან. ავტორების მოსაზრებით, პოდოციტების კარგვა არღვევს გლომერულური ფილტრაციის ბარიერს, რასაც პროტეინურიის განვითარება მოხდევს.

ადსანიშნავია, რომ პოდოციტები არ აღმოჩნდა 11 ისეთი ორსულის შარდში, რომელთაც აღენიშნებოდათ გესტაციური ჰიპერტენზია, ესენციური ჰიპერტენზია ან პროტეინურია, რომელიც არ იყო კავშირში პრეეკლამფისიასთან.

ავტორები ასკვნიან, რომ პოდოციტურია პრეეკლამფისის მაღალსპეციფიურ და სენსიტიურ მარკერს წარმოადგენ პერინატალურ პერიოდში. იმისათვის, რომ გაირკვეს, შეიძლება თუ არა პოდოციტურია გამოყენებულ იქნას პრეეკლამფისის სკრინინგ ტესტად ადრეული ორსულობის პერიოდში, იგეგმება შემდგომი კვლევა - კერძოდ, უსწრებს თუ არა პოდოციტურია წინ პროტეინურიის განვითარებას.

### ტაკროლიმუსი მემბრანული გლომერულონეფრიტის სამკურნალოდ

როგორც ცნობილია, მემბრანული გლომერულონეფრიტის ზოგ შემთხვევაში სპონტანური გაუმჯობესება აღინიშნება, თუმცა არსებობს თირკმლების მოპროგრესირე უკმარისობის განვითარების არცთუ იშვიათი შემთხვევებიც. ციკლოსპორინი ხშირად დაღებით გავლენას ახდენს მემბრანული გლომერულონეფრიტის პროგრესირებაზე. Garovic *et al.* მიერ გამოკვლეული იქნა კალცინევრინის მეორე ინპიბიტორით - ტაკროლიმუსით მონოთერაპიის ეფექტი.

კვლევაში ჩატარული იყო 48 მოზრდილი პაციენტი ბიოფსიით დადგენილი მემბრანული გლომერულონეფრიტით, თირკმლების შენარჩუნებული ფუნქციით, ნეფროზული ხარისხის პროტეინურიით და ჰიპოალბუმინემიით, რომელიც აგვ ინპიბიტორით ან არ ბლოკერით მკურნალობის მიუხედავად გრძელდებოდა 9 ან მეტი თვის განმავლობაში. ჩატარდა რანდომიზაცია ტაკროლიმუსის (0.05 მგ/კგ დღეში 12 თვის განმავლობაში, შემდგომი 6 თვის მანძილზე დოზის კლებით) და საკონტროლო ჯგუფებად. ყველა პაციენტი აგრძელებდა აგვ ინპიბიტორის ან არ ბლოკერის მიღებას.

საკონტროლო ჯგუფთან შედარებით ტაკროლიმუსით ნამკურნალევ პაციენტებში სარწმუნოდ მაღალი იყო როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი რემისიის სიხშირე ორი, ექვსი, თორმეტი და თვრამეტი თვის თავზე. მართალია, ტაკროლიმუსის დოზის კლების პროცესში არ დაფიქსირდა დაავადების რეციდივის არც ერთი შემთხვევა, მაგრამ სამწუხაროდ წამლის მოხსნის შემდეგ პაციენტთა თითქმის ნახევარს რეციდივი განუვითარდა.

თირკმლის ფუნქციის მკვეთრი გაუარესება უფრო ხშირი იყო საკონტროლო ჯგუფში ტაკროლიმუსის ჯგუფთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ტაკროლიმუსის გვერდითი ეფექტის გამო კვლევას არ გამოთიშულა არც ერთი პაციენტი.

### **საჭიროა თუ არა პოსტტრანსპლანტაციულად ჰეპარინის რუტინული გამოყენება?**

მართალია, რუტინულმა ჰეპარინიზაციამ შეიძლება თირკმლის ტრანსპლანტაციის თრომბოზის რისკი შეამციროს, მაგრამ ზოგიერთი აგტორის აზრით, ეფექტი არცოუ დიდია, სხვა გართულებების რისკი კი მნიშვნელოვნად იზრდება. ცოტა ხნის წინ ჩატარებულ ერთ-ერთ კვლევაში შესწავლით იქნა პროფილაქტიკური ჰეპარინიზაცია თრომბოზული გართულების დაბალი რისკის მქონე 75 თირკმლის რეციპიენტში.

ჩატარდა პაციენტების რანდომიზაცია სამ ჯგუფად: I) ჰეპარინიზაციის გარეშე; II) დაბალი მოლეკულური მასის ჰეპარინი (ტინზაარინი - 3.500 ერთ. დღეში ერთხელ ერთი კვირის განმავლობაში; და III) არაფრაქცირებული ჰეპარინი (5.000 ერთ. ორჯერ დღეში) ერთი კვირის განმავლობაში.

არც ერთ პაციენტთან არ დაფიქსირებულა ტრანსპლანტაციის თრომბოზი, დრმა ვენების თრომბოზი ან ფილტვის არტერიის თრომბორემბოლია. არტერიოვენური ფისტულის თრომბოზის სიხშირე თანაბარი იყო სამივე ჯგუფში. მართალია, ჰემოტრანსფუზიის სიხშირე არ განსხვავდებოდა ჯგუფებს შორის, მაგრამ არატრანსფუზირებულ პაციენტებს შორის ჰემოგლობინის დონემ სარწმუნოდ უფრო დაიწია III ჯგუფში I ჯგუფთან შედარებით. ასევე სტატისტიკურად მეტი იყო ლიმფის დანაკარგი II და III ჯგუფებში I ჯგუფთან შედარებით.

ავტორები ასკვითან, რომ ჰეპარინი არ უნდა იქნა რუტინულად გამოყენებული თირკმლის ტრანსპლანტაციის იმ რეციპიენტებში, რომლებსაც არ აქვთ თრომბოზული გართულების დიდი რისკი.

### **კავშირი სტატინების გამოყენებასა და სეფსისის რისკის შემცირებას** **შორის დიალიზზე მყოფ პაციენტებში**

სეფსისი დიალიზზე მყოფ პაციენტებში სიკვდილობის მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს. გარკვეული კვლევები მიუთითებენ, რომ სტატინები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება კარდიოვასკულური დაავადებების საპრევენციოდ და სამკურნალოდ, შეიძლება დადებით როლს ასრულებდეს სეფსისის პრევენციისა და სიმძიმის შემცირების თვალსაზრისითაც. პროსპექტულ მულტიცენტრულ CHOICE კვლევაში სხვა საკითხებთან ერთად მკვლევარებმა ჩატარეს იმის ანალიზი, ასოცირებულია თუ არა სტატინების გამოყენება დიალიზზე მყოფ პაციენტებში სეფსისის სიხშირის შემცირებასთან.

1995-1998 წლებში კვლევაში ჩართული იქნა 17 წელზე უფროსი ასაკის 1041 პაციენტი, რომლებიც იმყოფებოდნენ დიალიზზე სამ თვეზე მეტ ხანს. პაციენტებს აკირდებოდნენ 2005 წლის იანვრამდე. ფასდებოდა, თუ რამდენად ხშირი იყო პაციენტების ჰოსპიტალიზაცია სეფსისის გამო.

კვლევის დაწყებისას პაციენტების 14% იღებდა სტატინს. დაკვირვების პერიოდში 165 პაციენტი მოხვდა სტაციონარში სეფსისით. იმ პაციენტებში, რომლებიც სტატინით თერაპიაზე იმყოფებოდნენ, სეფსისის გამო ჰოსპიტალიზაციის სიხშირე 63%-ით ნაკლები აღმოჩნდა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

### **ასპირინი აქვეითებს სადიალიზო კათეტერთან ასოცირებული ინფექციის რისკს ჰემოდიალიზზე მყოფ პაციენტებში**

სადიალიზო კათეტერის გამოყენება *Staphylococcus aureus* ინფექციის რისკის ფაქტორს წარმოადგენს. Sedlacek *et al.* მიერ შესწავლილი იქნა, ამცირებს თუ არა ასპირინის გამოყენება *S. aureus* ბაქტერემიის სიხშირეს ჰემოდიალიზზე მყოფ პაციენტებში.

კვლევა წარმოადგენდა 872 პაციენტის რეტროსპექტიულ ანალიზს, რომლებსაც ჰემოდიალიზი უტარდებოდათ სადიალიზო კათეტერის გამოყენებით ათი წლის განმავლობაში. სულ ამ პერიოდში ჩადგმული იქნა 1853 კათეტერი და შესრულდა სისხლის 4722 ნათესი. ასპირინის გამოყენება ირკვეოდა სამედიცინო ჩანაწერების ანალიზის მიხედვით.

სულ ბაქტერიემიის სიხშირე აღმოჩნდა 7.2 შემთხვევა / 100 პაციენტ - კათეტერ - თვეზე. *S. aureus* ბაქტერიემიის სიხშირე იყო 2.1 შემთხვევა / 100 პაციენტ - კათეტერ - თვეზე. *S. aureus* ბაქტერიემია სარწმუნოდ იშვიათად გვხვდებოდა იმ პაციენტებში, რომლებიც იღებდნენ ასპირინს. მათ შორის სიხშირე უფრო ნაკლები იყო ასპირინის 325 მგ დღიური დოზის გამოყენების შემთხვევაში 81 მგ-თან შედარებით.

სხვა ტიპის ბაქტერიემიის (არასტაფილოკოკური) სიხშირის შემცირება ასპირინის მიღების შემთხვევაში არ აღინიშნა.

## **პასუხები შემთხვევის განხილვისას დასმულ კითხვებზე (გვ.)**

### **1. ქ**

მწვავე პიელონეფრიტის სასარგებლოდ მეტყველებს: ინფექცია შარდში, ფერდის ტკივილი, ცხელება, ლეიკოციტოზი, CRP მომატება, პიპერექოგენული უბნების არსებობა.

გამორიცხული არ არის მიკროსკოპული პოლიანგიოტი და სწრაფად პროგრესირებადი გლომერულონეფრიტი, რომლებიც შეიძლება მსგავსი კლინიკური სურათით გამოვლინდეს. აღნიშნულ დიაგნოზის სასარგებლოდ მეტყველებს კრეატინინის კონცენტრაციის სწრაფი მატება სისხლში.

კრეატინინის მატება შეიძლება განპირობებული იყოს მწვავე ტუბულური ნეკროზით, რომელიც სეფსისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გართულებას წარმოადგენს.

ჰემოლიზურ-ურემიულ სინდრომზე ეჭვი შეიძლება მიტანილი იქნას თრომბოციტოპენის, ანემის, ლაქტატდეპიდროგენაზას მომატების და ჰაპტოგლობინის შემცირების გამო.

### **2. ბ**

მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერული ტომოგრაფიას ამ შემთხვევაში შესაძლოა გარკეთებული ინფორმატიული ლირებულება ქონდეს, მისი ჩატარება კონტრასტის გამოყენებას მოითხოვს, რაც ამ სიტუაციაში უკუნაჩვენებია თირკმლის ფუნქციის შეუქცევადი დაზიანების რისკის გამო.

### **3. ა**

### **4. ა**

### **5. ქ**

### **6. დ**

*Esherichia coli* ტიპიური პუს-ის მთავარ ეტიოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს. ინფექციურ ფაქტორებს შორის გამომწვევ მიზეზთა შორის სიხშირის მიხედვით მეორე ადგილზეა *Streptococcus pneumoniae*. აღწერილია პუს/თთა ადმოცენება სხვა ინფექციების, მათ შორის აივ/შიდსის შემთხვევაშიც.

### **7. ბ**

აღწერილ შემთხვევაში საქმე გვაქვს *Enterococcus faecalis*-ით განპირობებულ საშარდე გზების მძიმე ინფექციასთან, რომელიც გართულდა სეფსისით. ინფექციის შედეგად განვითარდა მწვავე ტუბულური ნეკროზი და თრომბოტულ-მიკროანგიოპათიური ცვლილებები. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს სეფსისის ტიპიურ რენულ გართულებას. ამ შემთხვევაში დიფერენცირება პუს-ისაგან რთულია, თუმცა შისტოციტების არარსებობა ამ დიაგნოზის საპირისპიროდ მეტყველებს.